



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბინდ ბუქ-
უბი სიფყაა, ცუდილებით და ჭებობით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯადისებაჲ უსაბაგლსია.

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

შაბათი-კვირა, 3-4 აგვისტო. 2019 წ. №155-156 (8821-8822)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru

ფასი 60 თეთრი

ქვეყნის გასაგონად

რას ველოდებით, ხალხო?! ③

ოპარ მარბველაშვილი:

ვინ არის, რა ქაზია ⑤ ოქრუაშვილი?!

არაგზაღების თავსუსაფარი ④

„გავრილოვის თავ-გადასავალი“ ⑧

რატომ უნდა იყოს ხალხი უსაფრთხო ტალინში, ბერლინსა თუ ბრაზილსა და არა თბილისში?

ბასულ კვირას ვაშინგტონის კვლევით ინსტიტუტ „ატლანტიკურ საბჭოში“ გამართულ კონფერენციაზე, სადაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დასავლური ინტეგრაციის ისტორიას და ევრო-ატლანტიკური ინსტიტუტების სამომავლო გეგმებს განიხილავდნენ, საქართველოს საკითხიც მოეცა ყურადღების ცენტრში. შეხვედრაზე სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპის და ევრაზიის მიმართულებით წამყვანმა დიპლომატმა ფილიპ რიკერმა „ამერიკის ხმასთან“ საუბარში საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ჩვენ ურთიერთობა საქართველოსთან არის ძალიან ძლიერი და პოზიტიური. საქართველოს აქვს ნათელი მომავალი. ჩვენ ძალიან ნათლად ვაფიქსირებთ ჩვენს ხედვას რუსულ ოკუპაციაზე და ქმედებებზე (საქართველოში) და ამ კუთხით ჩვენს (შეერთებული შტატების და საქართველოს) საერთო გამოწვევებზე“, – განაცხადა ფილიპ რიკერმა, სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელმა ევრაზიის საკითხებში.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გაფართოებას და მომავალ გეგმებს. ამერიკის დედაქალაქში განაცხადა, რომ ახალი სტრატეგიული რეალობის წინაშე შეერთებული შტატებისთვის ისეთ პარტნიორებთან თანამშრომლობა, როგორიც საქართველოა, უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

„ჩვენ თავისუფალ საზოგადოებებსა და ავტორიტარულ, კორუმპირებულ რეჟიმებს შორის დაპირისპირების ეტაპზე გადავდივართ. ქართველებმა იციან, თუ რომელ მხარეზე სურთ, რომ იყვნენ. ქართველები ადამიანები არიან, რომლებმაც იბრძოლეს, რომ თავად განსაზღვრონ საკუთარი მომავალი და არა მათმა მფობლებმა. იბრძოლეს იმისთვის, რომ თავად აირჩიონ სა-

კუთარი ლიდერები დემოკრატიულად... საქართველოს ისტორია აჩვენებს, რომ მას სურს, საკუთარი მომავალი თავად შექმნას. და ერთადერთი გზა იმის, რომ საქართველომ მისი სუვერენიტეტი დაიცვას, მზარდი და ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტების აშენებაა... თუ საქართველოში არ იქნება დემოკრატია, ეს საშუალებ-

საქართველოს ნატოში გაწევრებასთან ერთად, საუბარი მომავალ საპარლამენტო არჩევნებს შეეხო. „გერმანიის მარშალის ფონდის“ უფროსი მკვლევარი ჯონათან კაცი აცხადებს, რომ დემოკრატიული უკუსვლის შემთხვევაში, დასავლეთში საქართველოს შესახებ წარმოდგენები დაინგრევა. ის ამბობს, რომ საუკეთესო მოკავშირე ვაშინგტონისთვის დემოკრატიული საქართველოა.

„ვერ იბოვით სხვა ქვეყანას, სადაც საქართველოს უფრო მეტი მხარდაჭერა აქვს, ვიდრე აქ, ვაშინგტონში. თუმცა თუ საქართველოში დემოკრატიული უკუსვლა მოხდება, თუ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები აღარ გექნებათ, თუ შეიქმნება წარმოდგენა, რომ საქართველო შიდაპოლიტიკურად არაა მზად, რომ უპასუხოს იმ რთულ გამოწვევებს, რომლებიც მას ხელს უშლის, აქ არსებულ წარმოდგენებს დაანგრევს.“

ზოგჯერ სხვადასხვა ქვეყანაში... პოლიტიკოსები და მთავრობები საკუთარ ხალხს უკან სწვენ. 2020 წლის არჩევნები მოდის, რომელიც ახალი წესებით ჩატარდება, და, იმედია, ეს წესები მისცემს საშუალებას ქართველ ხალხს, რომ საკუთარი სურვილი უკეთ გამოხატოს. დემოკრატიებში ყველა მთავრობა საკუთარ ხალხს წარმოადგენს... გამოკითხვებით ნათელია, რომ ქართველებს არ მოსწონთ ის მიმართულება, საითაც ქვეყანა მიდის. შეერთებულ შტატებს... სურს საქართველოს სახით მოკავშირე იხილოს, და ყველაზე ძლიერი მოკავშირე ჩვენთვის დემოკრატიული პარტნიორი შეიძლება იყოს, რომელიც ჩვენს ღირებულებებს იზიარებს“, – თქვა კაცმა.

ვაშინგტონში აცხადებენ, რომ თბილისმა უნდა უზრუნველყოს 2020 წლის არჩევნების სამართლიან და თავისუფალ გარემოში ჩატარება, რადგან ეს ქვეყნის დემოკრატიის მნიშვნელოვანი ტესტი იქნება.

ანი ჩხიკვაძე





ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ სამების საკათედრო ტაძარში განაცხადა, სადაც ილიაობასთან დაკავშირებულ საზეიმო წირვას დაესწრო. მთავრობის მეთაურმა სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უნმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს და

ქლიერი ქართული ეკლესია ნიშნავს ქლიერ ქართულ სახელმწიფოს და ქლიერი ქართული სახელმწიფო არის ქლიერი ქართული ეკლესია

ტაძარში შეკრებულ მრევლს დღესასწაული მიულოცა. „თქვენო უნმინდესობავ, უდიდესი მონღებით და სიყვარულით მინდა, მაღლობა გადაგინადოთ თქვენი თავდაუდებელი შრომისთვის, შემოქმედებისთვის, მოღვაწეობისთვის, რომელიც ყოველთვის გულისხმობდა ქართული ეკლესიისა და ჩვენი სამშობლოს სიძლიერეს, ჩვენზე ზრუნვას. დღეს არის ორი დიდი წმინდანის, წმინდა ილია მართლის და ილია წინასწარმეტყველის მოხსენიების დღე. მსურს, ყველა ქრი-

სტიანს, ჩვენს თითოეულ მოქალაქეს, ჩვენს ემიგრანტებს მივულოცო დღევანდელი დღე. თქვენო უნმინდესობავ, თქვენი ღვაწლი არის უდიდესი. საქართველოს სჭირდება თქვენი ლოცვა, თქვენი რჩევები, თქვენი სიბრძნე, რომ ჩვენ, ქართველმა საზოგადოებამ შევძლოთ, ავაშენოთ ძლიერი და ერთიანი სახელმწიფო. კიდევ ერთხელ გილოცავთ დღევანდელ დღეს და გულოცავ სრულიად საქართველოს. ძლიერი ქართული ეკლესია ნიშნავს ძლიერ ქართულ სახელმწიფოს

და ძლიერი ქართული სახელმწიფო არის ძლიერი ქართული ეკლესია“, – განაცხადა პრემიერმა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დღეს მოიხსენიებს წმინდა ილია თეზბიტელს და ილია მართალს (ჭავჭავაძე). დღესვე აღინიშნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ანგელოზის დღე. საზეიმო წირვა უნმინდესსა სამღვდლოებასთან ერთად სამებაში აღავლინა.

მამუკა ბახტაძეს ლარის დარბაზულირების იმედი აქვს

ყველა უწყების შეფასება, მათ შორის, კომერციული ბანკების, არის ერთნაირი, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ლარის ზედმეტ გაუფასურებასთან, შესაბამისად, ჩვენ გვაქვს მოლოდინი იმისა, რომ ლარი დაუბრუნდება თავის ბუნებრივ და მყარ ნიშნულს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის სხდომის დაწყების წინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. „ეს ორი დღის წინათ საქსტატის მიერ ეკონომიკური ზრდის შესახებ გამოქვეყნებულმა ინფორმაციამა და დადასტურა. რა თქმა უნდა, ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს იმას, რომ ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენები არის ჯანსაღი, მყარი, მდგრადი და ლარი იყო ზედმეტად გაუფასურებული. ამას, სამწუხაროდ, ხელი შეუწყო ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში არსებული ნეგატიური მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც ნეგატიურმა მოლოდინებმა. ეკონომიკის განვითარების ძირითადი პარამეტრები მიმდინარე ანგარიშის დეფიციტით დაწყებული ექსპორტის მოცულობით დამთავრებული საკმაოდ პოზიტიური და მყარ დინამიკას გვიჩვენებს“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ. პრემიერ-მინისტრის თქმით, ტურიზმის სექტორში არის შემოსავლების

კლება, მაგრამ მთავრობის მიერ დაგეგმილი ერთობლივი ღონისძიებებით, აღნიშნულ სექტორში დაბრუნდება ისეთივე მზარდი დინამიკა, როგორც იყო. „ჩვენ, სამწუხაროდ, გვაქვს შემოსავლების კლება ტურიზმის სექტორში ყველასთვის ცნობილი მოვლენების გამო. ჩვენ გვქონდა ძალიან მაღალი ზრდის ტემპი ტურიზმის სექტორში. მაგალითისთვის შემიძლია გითხრა, რომ აჭარაში თითქმის 40-პროცენტით ზრდა გვქონდა ივნისში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და საზოგადოებას შეუძლია, თვითონ გააკეთოს დასკვნები, თუ რა მასშტაბის შემოსავალს ელოდებოდა ქართული ეკონომიკა ტურიზმის სექტორიდან. სამწუხაროდ, იმ გამოწვევების ფონზე, რომელიც დადგა, რა თქმა უნდა, იგივე ტრენდის გაგრძელება უახლოეს თვეებში გაგვიჩირდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ იმ ერთობლივი ღონისძიებებით, რომელიც ჩვენ დავგეგმეთ ამ სექტორში მომუშავე კომპანიებთან ერთად, აუცილებლად დავაბრუნებთ ასეთივე მზარდი დინამიკას ტურიზმის სექტორში და ტურიზმი, როგორც იყო საქართველოს ეკონომიკის განვითარების მთავარი ლოკომოტივი, ასეთად დარჩება მომდევნო პერიოდის განმავლობაში“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრის საკარტოვლო სტაბილური და მნიშვნელოვანი პარტნიორია

ბარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD III) ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში“ მმართველი კომიტეტის ბიუროში შეხვედრა გაიმართა.



შეხვედრას გაეროს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ხატია წილოსანი ხელმძღვანელობდა. მან მაღლობა გადაუხდა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების განყოფილების უფროსს ვინსენტ რეისს და საქართველოში გაეროს მუდმივ კოორდინატორს, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივ წარმომადგენელს საქართველოში ლუიზა ვინტონს მხარდაჭერისა და განუყოფელი დახმარებისთვის. მინისტრის მოადგილემ მიმდინარე პროექტების საფუძველზე მიღწეული წარმატებული შედეგების მნიშვნელობაზე ისაუბრა. ვინსენტ რეისს განაცხადებით, საქართველო სტაბილური და მნიშვნელოვანი პარტნიორია, რომელსაც აგრარული და გარემოსდაცვითი მიმართულებით განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია.

ანაკლიის პორტამდე მისასვლელი გზა და რკინიგზა პორტის ფუნქციონირებაში აუხედავია

საავტომობილო გზების დეპარტამენტი ანაკლიის ღრმანწყლოვან ნავსადგურთან მისასვლელი 18 კმ-იანი საავტომობილო გზისა და რკინიგზის პროექტირებას ახორციელებს, – ამის შესახებ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი. განაცხადებში ასევე აღნიშნულია, რომ საპროექტო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი ქარსელაძემ ისაუბრა. „გეგმის მიხედვით მოხდება სამშენებლო სამუშაოებზე გამარჯვებული კომპანიის გამოვლენა. ანაკლიის პორტთან მისასვლელი გზისა და რკინიგზის მშენებლობის საორიენტაციო ღირებულება 330 მილიონ ლარია. გზა და რკინიგზა, როგორც სახელმწიფოს ვალდებულებაში ჰქონდა აღებული, პორტის ფუნქციონირებაში აუხედავია“, – განაცხადა ირაკლი ქარსელაძემ.

რუსეთიდან სატრანზიტო ფრენების სუბსიდირება

რუსეთიდან სატრანზიტო ფრენების სუბსიდირება არის ძალიან მარტივი გადანაწილება, რომელიც უკავშირდება ელემენტარულ პასუხისმგებლობას და ჩვენს ვალდებულებას საქართველოს მოქალაქეების წინაშე, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ რუსეთიდან საქართველოში ტურისტების მოზიდვაზე სატრანზიტო ფრენების სუბსიდირების საკითხის კომენტარებისას. მისი თქმით, სუბსიდირების გადანაწილების ნომერ პირველი პრიორიტეტი ტურიზმის სექტორის დახმარება არ ყოფილა. „მართლაც საოცარი შეფასებები ვიხილეთ ამ ინიციატივის. ქართულ პოლიტიკაში მოღვაწე ადამიანებს საკმაოდ დიდი ფანტაზია აქვთ. ყველაზე ნაკლები იყო სწორედ ტურისტული კომპონენტი, რატომაც ეს გადანაწილება მივიღეთ. ეს არის ძალიან მარტივი გადანაწილება, რომელიც უკავშირდება ელემენტარულ პასუხისმგებლობას და ჩვენს ვალდებულებას საქართველოს მოქალაქეების წინაშე. იცით, რომ ბევრი ქართველი, საქართველოს ბევრი მოქალაქე ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში. ბევრი მათგანი გეგმავდა და გეგმავს, რომ დაბრუნდეს საქართველოში და ზაფხული გაატაროს თავის ოჯახთან, ძალიან მნიშ-

ნელოვანია, რომ ჩვენ, როდესაც ჩვენს მოქალაქეებს მსგავსი პრობლემები ექმნებათ, მათ გვერდში უნდა ამოვუდგეთ. მით უმეტეს, როდესაც ეს პრობლემები მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხდება. რუსეთში მცხოვრები ქართველების უმრავლესობას ჰქონდა დაგეგმილი ზაფხულში საქართველოში ჩამოსვლა. რა თქმა უნდა, ვალდებულებები ვართ, დავხმარდეთ ჩვენს ქართველებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ნებისმიერ, თუნდაც ასეთ ადამიანურ ინიციატივას ჩვენი ოპონენტები ისეთ ეპითეტებს არქმევენ, რომ მართლაც უნიკალური ფანტაზიის ნაყოფის შედეგია ეს ყველაფერი. ეს იყო ძალიან მარტივი გადანაწილება და ტურიზმის სექტორის დახმარება მაშინ ნამდვილად არ იყო ნომერ პირველი პრიორიტეტი. 600 000-იანი დახმარებით, როგორ ფიქრობთ, ის პრობლემა, რაც შეიქმნა ქართულ ტურიზმში, დაძლევადი იქნებოდა? ეს ხომ ძალიან ელემენტარული და მარტივია“, – განაცხადა ბახტაძემ. საქართველოს მთავრობა რუსეთიდან სატრანზიტო ფრენებს 600 ათას ევრომდე თანხით დაასუბსიდირებს. მთავრობის დადგენილების მიხედვით, საუბარია რეისებზე რუსეთიდან ერევნის გავლით თბილისისა და ბათუმის მიმართულებით.

ახალი გზა უსხოური ინვესტიციებით

ახალი განვითარების ბანკმა ქვეშეთი-კობის გზისა და გვირაბის მშენებლობაზე 415 მილიონი დოლარის ინვესტიცია დაამტკიცა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის სხდომაზე გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. საკითხის მინისტრთა კაბინეტის წევრები დღევანდელ სხდომაზე განიხილეს. როგორც მთავრობის მეთაურმა განაცხადა, პროექტი ძალიან ბევრ ნაგებობას მოიცავს. მამუკა ბახტაძის თქმით, გაკეთდება 9-კილომეტრიანი გვირაბი, რომლის სიგანე 15 მეტრი იქნება. „საქართველოს სივრცით განვითარებაში ეს იყო კომპონენტი, რომელიც გახლავთ ყველაზე კაპიტალიზმის-

ური, ძვირიანი მონაკვეთი და ძალიან რთული საინჟინრო თვალსაზრისით. ჩვენ ამ კონტრაქტის ხელმოწერის შედეგად, უკვე დავასრულეთ ჩვენი ინფრასტრუქტურის განვითარების დაკონტრაქტება, იმ კრიტერიუმების ქართული განვითარებისა, რომელიც გულისხმობს როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანს, ისე ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფანს. ეს პროექტი არ არის მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტი, სწორედ მსგავსი მასშტაბისა და მნიშვნელობის პროექტების რეალიზაციის შედეგად ჩვენ შევძლებთ, რომ სიღარიბე შევამციროთ და დავაძლიოთ ეს ყველაზე მტკივნეული გამოწვევა ჩვენი მოქალაქეებისთვის“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ამ ორიოდ დღის წინათ ერთმა ჩემთვის ღრმად პატივსაცემმა პროფესორმა მისთვის ჩვეული სიძარბისლით გაჯერებული ემოციით შემომჩივლა: — „დოლარი 3 ლარს უახლოვდება. მოსალოდნელია სოციალური ამბოხი, ძალიან მეშინია ამ ვითარების. თქვენ რამე პროგნოზი გაქვთ?“

ჩემი პასუხი მოკლე და კონკრეტული იყო: — „ამ შემთხვევაში პროგნოზირება ძნელია, თუმცა, ყველაფერი იქითკენ მიდის, ეტყობა, ხალხის მოთმინების ზღვარს ცდიან... თან მოახლოებული არჩევნების წინ. ისე, უნდა გითხრა, რომ მე სოციალურ ფონზე აჯანყების უკვე არ მჯერა — ხალხი დაჩმორებულია!“

განსაკუთრებით, ეს ბოლო წინადადება ჩემთვის ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა, მაგრამ რეალობას ვერსად გვეტყვივით — ხალხი უკვე ყველაფერს „ჭამს“, ყველაფერს ითმენს, რითაც დღევანდელი რეალობის შემოქმედნი შესანიშნავად სარგებლობენ.

ჩემი მეგობარი პროფესორი ძალიან მძიმე პერსპექტივას მიხატავდა: მიმტკიცებდა, რომ „ეს ყველაფერი დიდი უბედურებების დამთავრდება... შიმშილი მოადგება არაერთ ოჯახს, ზამთარი იქნება კოშმარული, არ ვიცი, უღონობა მკლავს!“

უზუსტესი დიაგნოზია, მაგრამ ყველაფერზე მეტად მისმა ბოლო სიტყვებმა შემაფიქრინა: „არ ვიცი, უღონობა მკლავს“.

ეჭვიც არ მეპარება, რომ ბატონ პროფესორს, რომელსაც ხელისგულზე უდევს საქართველოს ისტორია, კარგად აქვს გააზრებული, საით მიექანება ქვეყანა. ისიც, რომ გათითოკაცებული პატრიოტები ვერაფერს შეცვლით, თუ ჩვენს სულში „კოსმიური აფეთქება“ არ მოხდა და პასუხისმგებლობის გრძნობამ არ გაიღვიძა.

ის, რომ ლარმა ახალი სიურპრიზი მოგვინყო, ჩვენთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო — ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ეროვნული ვალუტის „მყისიერი აფეთქება“ ამ ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს დაბრალეოდა!

ხელოვნურად აგორებულ მიზეზებს რა გამოეცხადება, არც თითის გასაშვარი პერსონები თუ პერსონალები დაგველევა.

დიახ, არავისთვის უნდა ყოფილიყო მოულოდნელი, რომ 20-21 ივნისის მოვლენებს და გიორგი გაბუნიას აღვირახსნილობას რუსეთისგან ადეკვატური რეაქცია მოჰყვებოდა.

ერთი სიტყვით, ყველაფერი უზუსტესად იყო გათვლილი და რეალობაც ისეთი მივიდეთ, როგორც ამ რეალობის შემოქმედთა წარმოდგინათ.

როგორც წესი, ეროვნული ვალუტის გაუფასურებაზე სხვადასხვა (გარე და შიდა) ფაქტორები მოქმედებენ, მაგრამ ამ ბოლო დღეებში ლარის აფეთქება რომ ხელოვნურადაა გამოწვეული, ამის თქმას დიდი ანალიტიკოსობა არ სჭირდება!

თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ყველაფერი ხდება მოახლოებული 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, რაც ყველაზე მეტად დამაფიქრებელია.

ფიქრობ, დღევანდელი ხელისუფლება (მათი პარტნიორების პატრონაჟით) ბოლომდე ცდის ხალხის მოთმინებას და ცდილობს, უკიდურეს სიღატაკემდე მიიყვანოს ადგილობრივი მოსახლეობა (ზოგა შემთხვევაში ამოსდება სული, ზოგი კი გაქცევით უშველის თავს, რაც ყველაზე მეტად შედის საქართველოს მტრების ინტერესებში), ან პირდაპირ გვეუბნება, რომ არჩევნების ბედი წინასწარ გადანიშნულია და ხალხის რეაქციის მას არ ეშინია!

თუმცა, თუ საზოგადოების ბოლო ორი დღის განწყობით (რეაქციით) ვიმსჯელებთ, ყველაფერი ორივე ფაქტორის გათვალისწინებით ხდება და ხალხს მხოლოდ ნახირის ფუნქციას უტოვებენ!

დიახ, ხელისუფლებას არ ეშინია სოციალური აფეთქების, რადგან კარგად იცის, რომ შეიძლება დიდი დიდი, თვითგადარჩენის ინსტინქტმა გაიღვიძოს თანამედროვე საქართველოში და მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე იფიქრონ, თორემ პატრიოტული მუხტი და მომავლის წინაშე პასუხისმგებლობა იმდენად დაკნინებულია, სოციალური ბუნტის ალბათობა ძალიან მცირეა.

ეტყობა, ხელისუფლებამ ნაგავში მოისროლა ლოზუნგიც: „აღარ იყოს ოღონდ ბუნტი“.



რას ველოდებით, ხალხსო?!

მე მაშინაც ვუთხარი ღრმად პატივცემულ პროფესორს და დღესაც გავიმეორებ: ჯერჯერობით ერში ბრძოლის ნიშანწყალი არ ჩანს და მარტო „ღმერთო, გვიშველს“ იმედზე ყოფნა ხეირს არ მოგვიტანს!

რაც შეეხება ლარის „აფეთქებას“, მტკიცება არ სჭირდება, რომ ეს ხელოვნური ფაქტორებითაა გამოწვეული, რომელიც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის კიდევ უფრო გაღატაკებას უწყობს ხელს.

ისმება კითხვა: **შეძლო თუ არა სებს- (ეროვნულ ბანკს) ან საქართველოს მთავრობას შეეკავებინა ეროვნული ვალუტის მაქსიმალური გაუფასურება?**

რა თქმა უნდა, შეეძლო, თუ ამის პოლიტიკური ნება იქნებოდა. მით უმეტეს, მაშინ ხელოვნურ რყევებთან გვაქვს საქმე, რომლის მიღმა წინასწარგანზრახული ავანტიურა იმალება!

ნიშანდობლივია ისიც, რომ ლარის კურსის კატასტროფული ვარდნა არა გარე ფაქტორებს, არამედ შიდა პოლიტიკურ ინტრიგებს უკავშირდება.

თუმცა, ხალხს ხომ ყველაფერს აჩვენებ, ხალხი ხომ ყველაფერს ყლაპავს?!

უნდა შეიქმნას „უფულო პატრიოტთა“ პარტია!

დაახლოებით ერთი კვირის წინათ სოციალურ ქსელში ასეთი შინაარსის სტატუსი-მონოდება დავდე: „უფულოებო, მაგრამ ქვეყანაზე შეყვარებულეო: გავერთიანდეთ იდეის გარშემო და 2020-ში ვაჩვენოთ პოლიტიკურ მძორებს „საქმენი საგმირონი“!

მეგონა, ამ ლოზუნგს დიდი გამოხმაურება მოჰყვებოდა, რადგან იგივე სოციალური ქსელით თუ ვიმსჯელებთ, ძალიან ბევრია ჩვენს შორის, ვისაც გააზრებული აქვს ახალი პოლიტიკური ძალის ფორმირების აუცილებლობა. ყოველ შემთხვევაში, მეგონა, დისკუსიის საგანი მაინც გახდებოდა.

თქვენც არ მომიკვდეთ — სულ 130-მა ადამიანმა დაუსვა ენ. „ლაიქი“, 18-მა დააკომენტარა, მათ შორის, მხოლოდ 2-მა მამაკაცმა.

თუ კომენტარებით ვიმსჯელებთ, ბევრს უკვე ხელი აქვს ჩაქნული ყველაფერზე — არ სჯერათ, რომ რამეს შეცვლა შესაძლებელია. დანარჩენს ვერ წარმოუდგენია, რომ უფულოდ არათუ „საგ-

მირი საქმეების“ კეთება, გორში ჩასვლაც არ შეიძლება!

როგორც ვთქვი, ფეისბუქმეგობრების უმეტესობას საერთოდ არანაირი რეაქცია არ ჰქონია ჩემს „ურა“ მონოდებაზე. ისინიც, ალბათ, ზოგიერთი კომენტატორივით ფიქრობენ, რომ „მაინც არაფერი შეიცვლება“, „უფულოდ არაფრის გაკეთება არ შეიძლება“, „ქართულების გაერთიანება უტოპიაა“ და ა.შ.

პირადად მე ყველაზე მეტად ამ ბოლო პოსტულატის მეშინია. ძალიან გვიჭირს (ნების ნიშანწყალიც არ არის ჯერჯერობით) გაერთიანება საერთო იდეის, ანუ ქვეყნის ინტერესების გარშემო, თორემ რაღაცის შეცვლა რომ შეიძლება, ეჭვი არ მეპარება.

არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ უფულოდ იმაზე მეტს გავაკეთებთ საკუთარი ქვეყნის გადასარჩენად, ვიდრე, სათანადო „ინსტრუქციებით“ დახმარებული უცხოური ფულით გაკეთებულა ამ ბოლო 30 წლის მანძილზე.

არადა, თუ რეალურად შევფასებთ, ათჯერ და ასჯერ უფრო მეტი გაფუჭდა, ვიდრე გაკეთდა!

ადრეც მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: დღევანდელი საარჩევნო გარემოს (საარჩევნო კოდექსი, ყბადაღებული საარჩევნო სიები, ადმინისტრაციული რესურსების მაქსიმალურად გამოყენება და გაყალბების დახვეწილი ტექნოლოგიები) პირობებში არჩევნები ფაქტობრივად აზრს კარგავს. მითუმეტეს, აზრს კარგავს მხოლოდ პროპორციულ არჩევნებზე გადასვლის პირობებში.

საქმე ის არის, რომ არსებული პოლიტიკური ისტებლიშმენტი (პოზიციანობიციანი) უკეთეს პერსპექტივას არ უქადის ქვეყანას. პირიქით, 2020 წლის არჩევნებით შესაძლოა, უფრო უარესი რეალობა მივიღოთ — 0%-იანი ბარიერი საშუალებას აძლევს ქრელაჭრულ პოლიტიკურ სუბიექტებს, შევიდნენ პარლამენტში. ახალი საპარლამენტო

„აჯაფსანდალის“ ქმედითობა კი 0-ის ტოლფასი იქნება, აინონა-დაინონაზე რომ არაფერი ვთქვათ.

ცალკე საუბრის თემაა, თუ რა ვაჭრობის საგანი გახდება ნებისმიერი საკითხის გატანა პარლამენტში.

რაც შეეხება მოსალოდნელი შედეგებით ხელოვნურად შეკონინებულ საპარლამენტო კოალიციას და ასევე ხელოვნურ კოალიციურ მთავრობას, მარჯვენას ნამდვილად არ ეცოდინება, რას აკეთებს მარცხენა!

მიუხედავად იმისა, რომ წარმოჩენილია ახალი პოლიტიკური წარმონაქმნები ძველი სახეებით, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო ხანებში საკმაოდ ანგაჟირებული ბანკირი მილიონერი აპირებს პოლიტიკურ ველში შემოჭრას, მიუხედავად იმისა, რომ ახალ-ახალმა ფსევდოჯგუფებმა შეიძლება მოინდომონ 2020 წლის ოქტომბრამდე გაფაფხურება, ეს არსებითად არაფერს შეცვლის!

საქმე ის არის, რომ არც ერთ არსებულ პოლიტიკურ სუბიექტს (ძველს თუ ახალს), არა აქვს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის რეალური პროგრამა და რაც ყველაზე სავალალოა, არა აქვს ამის პოლიტიკური ნება!

მეტიც, მათი პოლიტიკური ვექტორი ამერიკის ან რუსეთის ინტერესების გათვალისწინებისკენაა მიმართული, რომლის დროსაც განზე რჩება საქართველოს სისხლხორცეული ინტერესები.

ჩვენ თავიდან უნდა ავირიდოთ ლოზუნგებით მანიპულირება: „ამას ამერიკა არ დაუშვებს“, „ამას რუსეთი არ დაუშვებს“ და მხოლოდ იმაზე უნდა ვიფიქროთ, უფალი რას დაუშვებს ამერიკის ან რუსეთის ხელით! უფრო სწორად, უნდა ვირწმუნოთ, რომ ჩვენი ნებისმიერი ძალისხმევა, რომელიც ქვეყნის ინტერესების შესაცვლელად იქნება, უკვალოდ არ ჩაივლის.

საკმაოდ რეალისტი ვარ და ძალიან კარგად ვიცი, რომ ნებისმიერ ახალ წამოწყებას გარკვეული ფინანსური რესურსები სჭირდება, მაგრამ, როცა „უფულოების“ ერთობაზე ვაკეთებ მონოდებას, უპირველესად, მხედველობაში მაქვს იდეის ერთგულება.

რაც შეეხება ფულს (თუნდაც, მინიმალურს), რომელიც აუცილებელია ახალი პოლიტიკური მოძრაობის ფორმირებისთვის, თვით ხალხის ჯიბიდან უნდა ამოვიდეს, ვისაც რა შეუძლია, უნდა გაიღოს! თუმცა, იმაშიც უნდა დარწმუნდეს, რომ ეს გროუები საქართველოს უკეთესი მომავლისთვის ბრძოლას მოხმარდება!

ჩვენ იმპულსური ხასიათის ერი ვართ. თუ ასი ადამიანი გამოჩნდა, რომელიც ქვეყნის იდეის გარშემო გაერთიანდება, დარწმუნებული ვარ, 100 — ათასად და ათათასად იქცევა, მთავარია, პირველი „ხსული გაივლოს“!

სხვათადა, ნუ გვექნება იმედი, რომ 2020-ის საპარლამენტო არჩევნები რამეს სასიკეთოდ შეცვლის ქვეყანაში.

დავუშვათ, მოხდეს სასწაული და „ნაცვებიც“ და „ქოცვებიც“ ერთ დროს გაქრნენ პოლიტიკური ავანსცენიდან. ეს არსებითად არაფერს შეცვლის, დანარჩენი პოლიტიკური სუბიექტებიც ტყუპისცალივით ჰგავანან დღევანდელ და ყოფილ ხელისუფლებას: ისინი ერთი „მერქნისგან“ არიან გამოთლილები და ერთნაირი შხამნაპურები.

ჩვენ სხვა ძალა უნდა ვშვათ — „უფულო“ ერთობა უნდა შევქმნათ, რომლის წევრებსაც სხვა კრიტერიუმები გაერთიანებთ, ვიდრე დიდი ფულის გარშემო გაერთიანება.

ზაურ ნაჭყავია



P.S. ერთმა სახარებაში და წმინდა წერილებში ღრმად ჩახედულმა ნაცნობმა მითხრა, რომ 2021-ში ბიძინა ივანიშვილი წავა პოლიტიკური ავანსცენიდან და არც „ნაციონალები“ იქნებიან მთავარ ოპოზიციანში. ამის დასადასტურებლად ბიბლიიდან შესაბამისი ციტატებიც მომიყვანა. არ ვიცი, ვირწმუნო თუ არ ვირწმუნო, თუმცა, მაინც ურწმუნობას რწმენა სჯობს.

ისე, საინტერესოა, როგორ მოხდება ეს და როგორი იქნება პოსტივანიშვილისეული და პოსტნაციონალური საქართველო!

ზ. ნ.



სამშაულო ჯონსონის სიტყვები „პატრიოტიზმი – არამზადების უკანასკნელი თავშესაფარი?“, შესანიშნავად აითვისეს „ქართველმა“ არამზადებმა.

ყველა არშემდგარი ტიპი ადვილად პოულობს თავშესაფარს ქართული დღევანდელი მდგომარეობის ამ მართლაც და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სიტყვის ქვეშ და თავისი მერკანტილზმით ბოლომდე ანადგურებს პატრიოტიზმს როგორც ცნებას და როგორც ადამიანის არსებობის სიმბოლოს.

ნაცების, ბოკერისა და მისი არასამთავრობოების მეცადინეობის წყალობით დღეს საოცარ ანტიპატი-ას ინვესს სიტყვები – „ნაციონალური“, „სამოქალაქო“, „დასავლური ღირებულებები“, „ოპოზიციური გაერთიანება“ და ა.შ. საზოგადოებას შეზიზღდა „ცისარტყელა“ და „ცისფერი“. დაიკარგა მწერლისადმი პატივისცემა და ჟურნალისტიკისადმი ნდობა.

საქილიო გახდა საშინელი სიტყვა – ოკუპაცია, რომელსაც ვიღაც გაურკვეველი სქესის არსებები ფეშენ ვიკით „ებრძვიან“.

ძალიან ძნელია ამ ნანგრევების განმენდა და ახალი შენობის აშენება.

ძალიან ძნელია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ის ხალხი, ვისთვისაც პატრიოტიზმი, სახელმწიფოებრივი აზროვნება, კულტურა, განათლება, ნებისმიერი პროფესია არა თავშესაფარი, არამედ ცხოვრების უმთავრესი აზრია, თავის სიტყვას იტყვის და სემუელ ჯონსონისეულ არამზადებს დედებს „გაუშუთავს“.

მე კი მაქვს იმედი, მაგრამ არამზადები არ ცხრებიან. არ ცხრებიან და საკუთარი არსებობის აუცილებლობის დასამტკიცებლად, პიარის ყველაზე საზიზღარ ქმედებებზე მიდიან.

მაგალითისთვის ვიტყვი, რომ ნაცებმა პიარისთვის ბოლ შევიკებისგან პროპაგანდისტული ბრძოლის მეთოდი გადმოიღეს და მას შემდეგ, რაც მათი მთავარი პროპაგანდისტული მანქანა დიდ

არამზადების თავშესაფარი

ცვლილებებს ელოდება, აქტიურად იყენებენ. გთავაზობთ სიუჟეტს – რატომ გადაიყვანეს ციხეში ოქრუაშვილი მაშინ, როცა იმავე ბრალდებით მელია მხოლოდ შინაპატიმრობაში რჩება.

ამ ტექსტს ემბება ეჭვის ჩაგდება ოქრუაშვილის მიერ „რუსთავი-2“-ის მფლობელობაზე პრეტენზიის გამოთქმასთან დაკავშირებით.

ამ დროს აბსოლუტურად იგნორირებულია ოქრუაშვილის აღიარებები იმ ფინანსური რესურსის ფლობის შესახებ, რომელიც არც დეკლარაციაში ჰქონია მითითებული და მძიმე კანონდაარღვევის გარეშე ამ ოდენობის თანხებს ვერანაირად ვერ მოიზიდავდა.

ანალოგიურ ჭრილში შეგვიძლია ვნახოთ „რუსთავი-2“-ის სიუჟეტი პატიმრის ნამების შესახებ, რომელსაც საბედნიეროდ, წინ ნამდვილი ინფორმაცია უძლო და რომელიც სამსჯავროსად, ადამიანთა ძალიან მცირე რაოდენობამ ნახა.

დარწმუნებული ვარ, რომ მსგავსი პროპაგანდისტული ფინტები არასამთავრობოების ოფისებში იწერება. იმ არასამთავრობოების, რომლებსაც იურიდიულ საკითხებზე წვდომა და მანიპულირების გამოცდილება აქვთ (კაპიტანი გიგაური, სალაძე და ა.შ.).

მათი დანერგილი პოსტები, ფაქტობრივად, ის პარტიული ხაზია, რომელიც ყველა მოდებამდე ნაცმა უსიტყვოდ უნდა გაავრცელოს.

ამ „უკანასკნელ“ ემორჩილებიან ენ. „გაერთიანებული ოპოზიციის“ წამომადგენლები.

მაგალითად, ფრაზა – „ახალი სამართლებრივი დავის გამო დააკავეს ირაკლი ოქრუაშვილი“.

ვინც ამ ფრაზით აპელირებს, არაფერს ვერჩი, მაგრამ ჯერ იმათ ვინც პოლიტიკოსობა დაგაბრალათ და მერე იმათ, ვინც ტელევიზორში ნანახიდან აზრის გამოტანა არ გასწავლათ, იმათ დაეცა ფილმ „არმაგედონის“ ზანგა.

რა თქმა უნდა, ამ მარაზს „არასამთავრობოების“ მხრიდან სრული მხარდაჭერა აქვთ.

რეალურად კი ამ აგრესიულმა ლიბერალებმა იმდენი ქნეს, რომ ცნებები „ოკუპაცია“, „პროტესტი“, „სამოქალაქო აქტივიზმი“ საბოლოოდ გააუფასურეს და დასაცინად კი არა, სალადაოდ გახადეს. ამ მართლაც რუსულ ნარატივში უდიდესი როლი „რუსთავი-2“-მა შეასრულა.

მოხდა ის, რაც მიჩაას, ბოკერისა და რუსი დერჟიმორდების მთავარი მიზანი იყო – დარტყმა ქართულ

ეკონომიკაზე და დარტყმა საქართველოს საერთაშორისო პოზიციებზე

თუ მკაცრ შეფასებებს გვერდით გადავდებთ და ადამიანური თვალის შევხედავთ, დარწმუნებული ვარ, რომ მათ სიცილი, გულიანი სიცილი არ შეუძლიათ.

მომკალით და ვერაფრით წარმოვიდგენ პატარა ბავშვთან ბურთით მოთამაშე სალაძეს (მოლიტიკაზე და მასთან ერთად ჩაბჭირებაზე არაფერს ვამბობ), გიგაურს, რომელიც წინილას ხელიდან ატყვევს, ან ლეკვს ეფერება.

ნაცების (ორივეს), ლევან და დავით ბერძენიშვილების, ბაია პატარაიას, ლომჯარიას და მსგავსი ტიპების დანახვაზე სულ მგონია, რომ რაიმე ლამაზი ნივთის გასაფუჭებლად, დასაკანრად ჯიბეში უანგინი ლურსმენები უდევთ.

ქალთა უფლებების „დამცველის“ ბაია პატარაიას სურვილი, მონამლოს ირმა ინაშვილი, ზუსტად გვაჩვენებს ამ არსებების ნამდვილ ზრახვებს და მისთვის სს-ის შტურმბანფიურერის ფორმის ჩუქებას მაფიქრებინებს.

ჩემი აზრით, მათი მდგომარეობა სცილდება ჯანსაღი აზროვნების ადამიანის მდგომარეობას და ფსიქოლოგის სერიოზული ჩარევა სჭირდებათ.

ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს ყველაფერი ბოკერია-საკაშვილის „მოღვაწეობის“ ნაყოფია.

არადა, ბოკერიას აღზევების ფონზე სააკაშვილს დღითი დღე კუდი უპატარავდება და ცხვირი ეზრდება.

წერული მინდა დავამთავრო სააკაშვილის დამოკლებული კუდისა და გაზრდილი ცხვირის გამომწვევი კიდევ ერთი ტყუილის კომენტარით:

ალარ გასდის მიჩაას ის ბოლმიანი ტყუილები, რომლებიც აქამდე ხალხს აბოლებდა.

ბოლო „შემაშინებელ“ სიტყუეს – ივანიშვილი დენდროლოგიურ პარკს ჩაკეტავს და არავის არ ექნება მისი დათვალეიერების უფლებაო, ზუსტად ისეთივე მოკლე ფეხი აღმოაჩნდა, როგორც მის მრავალ იდიოტურ გამოხდომას.

„ჩემო“ მიჩა, მე ხვალ წვერმაღალას პარკში მივიღვარ, რომელიც მაისში გაიხსნა და რომელზეც ზუსტად ისევე როშავდი (რა შენი სიტყვები და რა შენი პარტაქტივის), როგორც ახლა დენდროლოგიურ პარკზე რომავ.

ნამდვილად არ მივაქცევდი ამ მორიგ სისულელეს ყურადღებას, მაგრამ ეს ტიპი კივიდან მეუბნება ვერ ნახვალ, არ შეგიშვებნო.

აი მე კი შემიშვებენ, შენ კი რა გითხრა, როდის მოახერხებ წვერმაღალას და დენდროლოგიურ პარკის დათვალეიერებას, კაცმა არ იცის.

იჩქარე, დენდროლოგიური 2020-ში იხსნება.



ბია ბაზრიძე

სარედაქციო ფოსტიდან

ხმა „პატარა კახის“ ქალაქიდან

დაბმინაშვილი შეძახილი შინაგან საქმეთა მინისტრს, უშიშროების საბჭოს მდივანსა და ვიცე-პრემიერს გიორგი გახარიას ავისმოსურნეობა გასაგონად!

ბატონო მინისტრო, თელაველი საზოგადოებრიობა ხორცამდე შეძრულია უკეთურთა მოთხოვნით: „გადადგეს გიორგი გახარია!“

თელაველები ალალი გულით ამაყობენ, რამეთუ საქართველოს ჰყავს კეთილისმყოფელი და ერთგული მოიმედე გიორგი გახარია, უფლის ნებით ქვეყნის საშველად მესხად ცთმოვლენილი ვაჟკაცი. ბატონო მინისტრო, ადგილის დედას დაგილოცავ, ღმერთმა გვიმრავლოს შენისთანა ლომვერა ვაჟკაცები.

მთელი გულით დავლოცავ შენი გამზარდელი დედის კალთას, რამეთუ ალგზარდა სულით მაღალი, შთაგაგონებდა მამულისთვის წარბშეუხრელ თავდადებას და გაჭირვებაში მყოფ მოყვასთა შველას.

დიდ ილიას სწორედ ასეთ დედა-შვილობაზე აქვს ნათქვამი:

„დედავ, ისინი ქართლის ვედრება, ისე აღზარდენ შენ შვილის სული, რომ წინ უძლოდეს ქვეშაირტება, უკან რჩეს კვალი განათლებული“.

მართალია, ავისმოსურნენი მოგიმრავლდნენ, მაგრამ სწორედ ახლა გმართებთ, ლომგული კაცის სიმტკიცით დადგეთ დამოუკიდებელი საქართველოს კარიბჭესთან, როგორც ერთგული გუშაგი. არ შედრკეთ, წარბი არ შეიხაროთ, თქვენ მარტო არა ხართ, თქვენს სახელზე მლოცველი ბევრი მენელსაცხებლედ და და დია გყავთ, მიხარია, რომ მეც მათ მარაქაში მოვიაზრები.

ბატონო მინისტრო, ყველამ კარგად უწყის, რომ თქვენი საჯილდაო ქვა თქვენი სამშობლოა. შევთხოვ უფალს, შეგაძლებინოს და მძიმე ლოდი შეკაზმული ცხენის მეორე მხარეს გადაგაგადებინოს, რათა ქვეშ მოიყოლოს თქვენი და თქვენი ქვეყნის მტრები.

არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა, არც როდის გაუხარნია!

შუამთის ეროვნული სამომ-სამეგობროს სახელით

ლამარა იანვარაშვილი,

ჰედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილისა და აკაკი წერეთლის სახელობის პრემიების ლაურეატი, უმაღლესი სკოლის დამსახურებული მასწავლებელი



ერთიანი ეროვნული გამოსვლის ბარეზე უმაღლესი სასწავლებელი მოხვედრა შეუძლებელია

სამართლებლო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აბიტურიენტებს აფრთხილებს. უწყებაში აცხადებენ, რომ აბიტურიენტები სერიოზულად არ უნდა მოეკიდონ სარეკლამო განცხადებებს, რომლებიც მათ ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე უმაღლესი სასწავლებელში მოხვედრას ჰპირდებიან.

საქართველოს პირველ არხს ერთ-ერთ ასეთ სარეკლამო სატელეფონო შეტყობინებაში მოსახვედრად მხოლოდ სკოლის ატესტატია საჭირო და გადასახდელია თანხა 2800 ლარის ოდენობით. მათი განმარტებით, პირველ ეტაპზე აბიტურიენტს მეზობელ ქვეყანაში გაგზავნიან, სამი თვის შემდეგ კი, მობილობით საქართველოში ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხებიან. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს პირველ არხს განათლების სამინისტროში განუმარტეს, რომ მსგავსი სარეკლამო განცხადებები აბიტურიენტთა შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად. მათი თქმით, მოქმედი კანონმდებლობით, ეროვნული გამოცდების გვერდის ავლით აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხვა შეუძლებელია.

საქართველოში ამერიკული გამოცემა COOL HUNTING-ის რედაქტორმა იმობზაურა

ამერიკული სამოგზაურო და დიზაინის ჟურნალი Cool hunting საქართველოს შესახებ სტატიას აქვეყნებს. Cool hunting-ის რედაქტორმა დევიდ გრეივერი საქართველოში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონვევით იმყოფებოდა. დევიდ გრეივერმა თბილისში ერთი კვირა გაატარა და სტატიას დეტალურად აღწერა საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობები. „თბილისი ტურისტებს მდიდარი ისტორიით და სტუმართმოყვარეობით იზიდავს. საქართველოს დედაქალაქიდან კავკასიონის მთებამდე რამდენიმე საათის სავალია. აქედან შორს არ არის შავი და კასპიის ზღვა. ვეროპასა და აზიას შორის მოქცეული თბილისი თავისი მდებარეობით აბრეშუმის გზაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.“

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ტურისტებს თბილისში მრავალფეროვანი მიმართულებების სანახავად ეპატიჟება. ეს არის კულინარიული თავგადასავლები, მუზეუმები, გოგირდის აბანოები და ა.შ. 7 დღის განმავლობაში თბილისში სხვადასხვა ადგილი დავათვალიერებ. მოვინახულე ბოტანიკური ბაღი, ეთნოგრაფიული მუზეუმი, გავეცანი საქართველოს დედაქალაქის კლუბურ ცხოვრებას“. სტატიასი აღწერილია თბილისის ძველი უბნები, ნარიყალას ცინე-სიმარგრე, ეროვნული მუზეუმი და საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი. სტატიასი განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართულ კულინარიას.

გულწრფელად ვიზიარებ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 27-28 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას სათაურით „ვინ ჯიჯგნის საქართველოს?!“ ავტორი გურამ ნიკლაური (გურამ გოგი-აშვილი). მასში მოკლედ და ლაკონურად არის ჩამოყალიბებული დღევანდელი ოპოზიციის ნამდვილი სახე, ხაზგასმითაა გამოქვეყნებული ახალგაზრდული პარტიის „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერის პოლიტიკურ-ზნეობრივი პორტრეტი.

ნათქვამია მთავარი – ნაცი გუშინდელი არ არსებობს, ნაცი – ყოველთვის ნაცია და ასეთად დარჩება სიცოცხლის ბოლომდე.

მძრუაშვილზე და მისთანებულ ყურადღების გამახვილებაც დიდი პატივია მათთვის, მაგრამ ვინაიდან ისინი ამბავილებენ ყურადღებას ქართულ პოლიტიკაზე, გაუმაძღარ თავს ადგამენ მას და სრულიად საქართველოზე გაუგებრობას ცდილობენ (პარტიის სახელწოდებაც ხომ ამაზე მიგვანიშნებს), იძულებული ვარ, ვთქვა ის, რამაც ოქრუაშვილის ტელევიზორზე გამოჩენამ, მისმა დაპატიმრებამ გამოიწვია ჩემსა და ჯანსაღად მოაზროვნე საზოგადოებაში.

წერ პატიოსანი, მშრომელი ადამიანებისა საკმაოდ დიდად, თუ არა მთელი საქართველო, რომელიც ოპოზიციაში, თანაც არაკონსტრუქციულში, მატყუარა და კრიმინალურში (ნაცები მყვანან მხედველობაში „მშრლული საბარბაქო“) სახით) ქვეყნის გადარჩენის ნიშანწყალსაც ვერ ხედავენ. რასაც ხედავენ – ქვეყნის მეორედ დანგრევა, ანიოკება, ქონების ჩამორთმევა, უკანონო დაპატიმრება, ცოცხლების ტრიალი, უსამართლობა, მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით რუსეთთან ისედაც გაუარესებული ურთიერთობების კიდევ უფრო გაუარესება, სამხედრო კონფლიქტის ჩამოგდება. ერთი სიტყვით, ყოველივე იმას, რაც, სამწუხაროდ, გაიარა ნაცთა ხელში მყოფმა ბედკრულმა საქართველომ.

სხვა დანაშაულებს რომ თავი დავანებოთ, მარტო 2008 წლის ცხინვალის ომი რად ღირს – ტერიტორიების დაკარგვით და ყოფილი ავტონომიების მოსახლეობასთან ურთიერთობების ისე გაუარესებით, ქართველის სხენებაზე ტანში რომ ცუდად აჟირალებოთ.

ზემომოყვანილი „საგმირო საქმეები“ მცირედი ნაწილია იმ დანაშაულთა კასკადიდან, რომელთა ნაშთები გახსენებაც კი ცუდ განწყობაზე აყენებს ხალხს. ბოდიშს მოვუხდომი ვიქნებ, მაგრამ იძულებული ვარ, შევასწავლო ვინაიდან ზოგიერთი, ნაცთა პროპაგანდით გაბრუნებული, დღესაც დაჟინებით ამბობს, რომ 2008 წლის ომი სააკაშვილმა და მისმა ხროვამ კი არ დაიწყო, არამედ რუსეთმა. და როდესაც მათთან კამათში ერთვები, თითქოს შელავათ გინევენ, ისე გეთანხმებიან – ომი სააკაშვილმა დაიწყო, მაგრამ მანამდე არაერთ პროვოკაციას ჰქონდა ადგილი რუსეთის მხრიდან, რომელმაც ომში ჩაგვითრიანა.

ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა მაშინ მოსწრებულად ბრძანა ნითელსოფელში ბომბის ჩამოგდებასთან დაკავშირებით – ესენი (საკაშვილის ხელისუფლება) თვით ობობავენ თავს, რომ შემდეგ რუსეთს დააბრლონო.

რაც შეეხება „ჩათრევას“ – ეს ტერმინი უფრო სკოლის დაბალი კლასების მოსწავლეებს ეხება, როდესაც მალაქლასელები რაღაც ცუდ საქმეში ითრევენ, მაგალითად, ვილაცისთვის პანდურის ამორტყევაში, ვეროლმან ქურდობაში და ა.შ., მაგრამ პოლიტიკაში, თანაც ზრდასრული ადამიანების მიერ წარმოებულში, ასეთს ადგილი არა აქვს და თუ აქვს, ისეთივე ტყუილია, როგორც სააკაშვილის ცხინვალის ომში ჩათრევა.

ის, რომ ომი სააკაშვილმა დაიწყო, დაამტკიცა ევროკავშირის სპეციალურმა კომისიამ დიპლომატ ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით, რომელიც მანამდე წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოში და გაერომ, რომელმაც არა მარტო ომის გაჩაღებაში დაადანაშაულა სააკაშვილი, არამედ აკრძალული „კასეტური ბომბების“ გამოყენებაშიც.

საკაშვილის მიერ ომის გაჩაღებასთან დაკავშირებით გარკვევით თქვა თავის დროზე ბიძინა ივანიშვილმაც.

რას ამბობენ დამნაშავე ნაცები?! ცხადია, სანინალმდევოს, რაშიც დაარწმუნეს კიდევ საზოგადოების ნაწილი, რომელიც რუსოფობიით არის დაავადებული. ვურჩევდი მათ, მოიძიონ გაეროს დასკვნა (ამონარიდი „სა-

ქართველო და მსოფლიოში“ დაიბეჭდა) და ყურადღებით გადაიკითხონ. არ მგონია, აზრი შეიცვალონ, მაგრამ საკუთარ გულში ხომ მაინც იტყვიან, ვინ არის მტყუან-მართალი? საჯაროდ კი ისევე გააგრძელებენ ტყუილის ტირაჟირებას.

ამ ბოლო დროს ნაცებს, არასამთავრობოებს და მათ მომხრე წერილობრივებს სიმართლისადმი სხვაგვარი დამოკიდებულება დასჩემდათ, თუ სიმართლე არ მოსწონთ, უმალ იწყებენ ათასი სისულელის ლაპარაკს. მსგავსს აქვს ადგილი ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის მიმართ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების გამო. ნაცებს და მათ გულშემატყვიერებს, ისე, როგორც ამ ტელეკომპანიის ურუნალისტებს და საზოგადოების ნაწილს, არ მოეწონათ ტელეკომპანიისთვის გამოტანილი განაჩენი, რაც რუსეთის პრეზიდენტის პუტინისა და ივანიშვილის ზეწოლას მიანერეს. თითქოს, ორივემ აიძულა (ცხადია, მოქრთამით) ევროსასამართლო „რუსთავი-2“-სთვის არასახარბიელო გადაწყვეტილების მიღება... და ამას აცხადებენ ღია თეატრში.



ოპარ მარგველაშვილი

ვინ არის, რა კასია

ოქრუაშვილი?!

მეგობრებო, საქართველოს ვითომ კეთილის მსურველებო, რაც პირზე მოგადგებათ, ეთერში ნუ აფრქვევთ, ნუ ბილწავთ ეთერს. შეიგნეთ მარტივი რამ, ასეთი ნათქვამი ცილისწამება და მეტი არაფერი იმ ორგანიზაციის მიმართ, ევროსასამართლო რომ ჰქვია. ისიც შეიგნეთ, რომ ქართულ მედიას გადაცემებით ადევნებენ თავს (ეს შედის მათ სამსახურებრივ მოვალეობაში) საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, რომლებიც დასკვნებს აგზავნიან თავთან ქვეყნებში.

2008 წლის აგვისტოს ომს პრელუდია 2004 წელს ჰქონდა, როდესაც ოქრუაშვილმა გააუქმა ერგნეთის ბაზრობა და მოინდომა ცხინვალის დაჩოქება, მაგრამ საბოლოოდ დაიპოვია თვით აღმოჩნდა. დაიპოვეს ქართველ სამხედროებში ოქრუაშვილი არ იყო, მაგრამ იყო საქართველო.

მსოფლიომ ქართველთა დაჩოქებაში უნამუსო ოქრუაშვილი კი არ აიგდო მასწრად, არამედ საქართველო. დაიპოვეს ვიდუკადრებმა მსოფლიოს ტელევიზორები შემოიარა.

ამას წინათ გაზეთმა „საქართველო და მსოფლიომ“ გამოაქვეყნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მაშინდელი უფროსის, გენერალ-მაიორის გივი იუკურბიძის ინტერვიუ. აი რას ამბობს ის: „2004 წლის ცხინვალის კონფლიქტში ჩვენი თავდაცვის სამინისტროს II სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა; შინაგანი ჯარის 50 სამხედრო მოსამსახურე ვანათის სკოლაში ტყვედ აიყვანეს ოსებმა და შემდეგ ეს ტყვედ ჩავარდნილი სამხედროები მთელმა მსოფლიომ დაინახა, როგორ იყვნენ დაჩოქილი ოსური ქვედანაყოფების წინ. ეს, რა თქმა უნდა, იყო სირცხვილი. ცხადია, არვის ჰქონდა უფლება, ასე უაზროდ გაენიარა ის II სამხედრო“.

და განიარა ვინ? თავდაცვის მინისტრმა ოქრუაშვილმა, სააკაშვილთან შეთანხმებით. დღესაც მასსოვს ტრიალსა ოქრუაშვილის დაპირება ცხინვალში ახალი წლის შესვენდასთან დაკავშირებით. მისი როყიო გამონათქვამი რუსეთში ღვიწის ნაცვლად ფეკალიების გაგზავნის თაობაზე ძვირად დაუჯდა ქვეყანას – სანქციების დაწესების სახით.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის სახელთან ბევრი გახმაურებული, დანაშაულებრივი საქმეები ჯერაც არ არის გამოძიებული. და რახან ამას

ადგილი არ ჰქონია, გათავხედებული დამნაშავე, ამპარტავანი და ღრმად პროვინციული ოქრუაშვილი სატელევიზიო გამოსვლაში (დაჭერამდე რამდენიმე დღით ადრე) თავმომწონედ აცხადებდა საკუთარი ყოვლისშემძლეობის თაობაზე; რომ ის იყო „ნაციონალური მოძრაობის“ დამფინანსებელი, „ვარდების რევოლუციის“ ორგანიზატორი – ფინანსების განხრით და არა სოროსი ან ივანიშვილი; რომ მინისტრობის დროს მასთან მიჰქონდათ ქრთამი, ათეულათასობით, მილიონობით დოლარი და ისიც ნაცთა ყულაბაში დგდა; რომ სეიფში 10 მილიონ დოლარზე მეტს ინახავდა და ა.შ.

ამ დანაშაულს (მრავლობით რიცხვში) ამაყად გვიყვებოდა – ენ. იურისტი, მაღალი რანგის ყოფილი მოხელე. ოქრუაშვილის ნათქვამმა კიდევ ერთხელ ახადა ფარდა სააკაშვილის კრიმინალურ ხელისუფლებას, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავენ ნაცები და მათზე მიტმანსილი საზოგადოების ნაწილი, ურუნალისტები. ათ მილიონ დოლარს (უმძროად სეიფში დადებულს) არაფრად აგდებენ ისინი, მაშინ, როდესაც საქართველოს „სტრატეგიულ

რას არ გაიგებ საქართველოს ტელევიზიებიდან, მაგრამ მსგავსი ზღაპარი – სიცრუესა და უგუნურებაში გადასული, არ მსმენია. ოთხი მონკვევის პარლამენტარმა „გუზაზ ბრძენმა“ ისიც ბრძანა, რომ მოსკოვთან აქვს კავშირი და იცის, 28 ივლისს რომ მილიონიანი ანტისახელისუფლებო მიტინგი გაიმართებოდა, რომელიც ბოლოს მოუღებდა პუტინის რეჟიმს, ისე როგორც თბილისში გამართული მიტინგები ბოლოს მოუღებს ივანიშვილის ბატონობას.

28 ივლისს მოსკოვში მართლაც გაიმართა არასანქცირებული მიტინგი, რომელშიც არა მილიონმა, არამედ „ოდნავ“ ნაკლებმა, 3500 კაცმა მიიღო მონაწილეობა. მომიტინგეებმა შეტევა მიიტანეს პოლიციაზე და ტოქსიკური გავიცი შეასხეს პოლიციელებს თვალეშში, რომ აღარაფერი ვთქვათ ნავგის ურნებსა და ასფალტის ნაგულეებზე – პოლიციელებს რომ დაუშინეს.

პოლიციამ ათასზე მეტი სამართალდამრღვევი დააკავა, რასაც დიდი ყაყინი მოჰყვა უცხოეთში. ქართულმა ტელევიზიებმაც ფართოდ გააშუქეს „პუტინის რეჟიმის წინააღმდეგ“ გამოსული მომიტინგეების „დარბევა“. მაშინ, როდესაც ცოტამ თუ მიაქცია ყურადღება „პატრიოტთა ალიანსის“ თაოსნობით ბათუმში გამართულ 30000-იან მიტინგს, რომელზეც მოითხოვეს რუსეთთან, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დიალოგის დაწყება, ურთიერთობების დალაგება.

დიდი ძალა აქვს პროპაგანდას, განსაკუთრებით ტელევიზორებიდან გამომდინარე, მაგრამ ნუთუ ვინმეს სჯერა სანიკიძის, ან კემულარიასა და ოქრუაშვილის პარტიის წევრების ცრუ განცხადებების, რომელთა მიზანი ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნაა?

იქნებ ახლა მაინც გამოფხიზლდეს „ოცნება“, მისი ლიდერი ივანიშვილი და საკდრისი პასუხი გასცეს როგორც „ნაციონალურ მოძრაობას“, ისე ყველას, ვინც მასთან დგას. ხალხი ელის სამართლიანობის აღდგენას!

რაც შეეხება საზარაძესა და ჯაფარიძეს, მოველენებს წინ ნუ გავუსწრებთ, დაველოდოთ სასამართლოს. ამ ორთან დაკავშირებით ისეთი ხმაური ატეხა ნაც-მოძრაობამ და მედიამ, თითქოს მზე და მთვარე ამოსდოოდეთ მათზე. ისე, როგორც ყველა შემთხვევაში, დანაშაულებენ ივანიშვილს და პუტინს.

პუტინს, რომელსაც არ უნდა ანაკლიის პორტის აშენება. აშშ-ს უნდა, არ უნდა რუსეთს, – ასე აცხადებენ ისინი.

ეს შეკითხვა დაუსჯევს ეკონომიკის ყოფილ მინისტრს ქობულაის, რომელმაც თქვა, რომ მას ასეთი რამ არ სმენია. შესაძლებელია რუსეთს არ უნდოდეს კონკურენტული ანაკლიის პორტი შვეიცარიაში, მაგრამ ოფიციალურად ამის თაობაზე არსად გახმაურებულა, თქვა მან და ისიც აღნიშნა, რომ ანაკლიის პორტს არა აქვს ეკონომიკური გათვლები, ანუ რას მოუტანს ის საქართველოს.

მან ისიც თქვა, რომ ეკონომიკური გათვლები გარეშე პორტის მშენებლობა მძიმე ტვირთად შეიძლება დაანვეს საქართველოსო.

ქობულაის ნათქვამი არ მოეწონათ „TV პირველის“ ურუნალისტებს, რომლებიც აძალბებდნენ მას, ეთქვა რუსეთისა და ივანიშვილის ნეგატიურ როლზე ამ მშენებლობასთან დაკავშირებით. მან კი სანინალმდევო თქვა, რაც სიმართლეს შეეფერება.

მე, როგორც მშენებელმა ინჟინრმა, კარგად ვიცი, რომ ეკონომიკური გათვლები გარეშე მშენებლობის დაწყება დანაშაულია, მით უმეტეს, ასეთი გრანდიოზული კომპლექსის. რაც შეეხება რუსეთს, მას ხელის შეუშლელად შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დამთავრებული ანაკლიის პორტის მუშაობაში ტვირთების გადაზიდვის სახით. განა ამას არა აქვს ადგილი ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზაზე აზერბაიჯანი და თურქეთის შეუთანხმდენ რუსეთს ამ ქვეყანაში ტრანზიტად გამავალი ტვირთების ნაწილის აღნიშნულ რკინიგზაზე გადმოსასროლად. დაუტვირთავი რკინიგზა დატვირთვას საჭიროებს და თუ რუსეთი ამას გააკეთებს, წაადგება ყველას, ვინც პროექტში მონაწილეობს, ე.ი. ჩვენც.

ეკონომიკა, მით უმეტეს, მას შტაბური სხვაა. მას პოლიტიკა ხელს არ უნდა უშლიდეს. სამწუხაროდ, ეს მარტივი ჭეშმარიტება არ იციან ქართველმა „პოლიტიკოსებმა“, „ექსპერტებმა“, „ურუნალისტებმა“, „არასამთავრობებმა“, „პარტიებმა“ რასაც ზიანი მოაქვს ქვეყნისთვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მარო მაცაშვილის დარბაზში აღესრულდა ორბელიანის საზოგადოებისა და ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ თაოსნობით გაიმართა განხილვა ოლესია თავაძის ალბომისა „ჩემი რობერტ ფროსტი“. მთავარი მომხსენებელი გახლდათ საზოგადოებისათვის ცნობილი მწერალი და მოღვაწე როსტომ ჩხეიძე. საღამო გამოირჩეოდა სტუმართა სიმრავლით. აქ გახლდნენ მწერლები, პროფესორები, ლიტერატურისა და ხელოვნების თავყვანისმცემლები... შეკრებას ესწრებოდა მთავარი გამრიცხ — თავად ოლესია თავაძეც. სიახლოვნებას გვიმრავალკეცვდა იქვე, ეკრანზე ნაჩვენები რეტროსპექტივა ნახატებისა.

საღამო გახსნა ქალბატონმა ნინო მახარაძემ:

— ლიტერატურის მოყვარულებმა იციან და ახალს არაფერს ვიტყვი, რომ ამერიკელი რობერტ ფროსტი პასტორალის, იდილიის პოეტიკა. მის შემოქმედებაში ჰარმონიაა, სიმშვიდე. მისი პოეზია არაა მყვირალა, ჩუმი, ყუჩი. ამერიკელი პოეტი ჩვეულებრივ ბევრისთვის შეუმჩნეველ ბუნების მრავალფეროვნებას, სოფლის სურათებსა და ცხოვრებას აქცევს პოეზიად. ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი, პედაგოგი ფროსტი თავისი განსწავლულობით არ კეკლუცობს, მკითხველის წინაშე საკუთარ გრძნობებს ბოლომდე აშვილებს, და სხვების — მხოლოდ მათ, მეგობრების, სოფლის მცხოვრებთა გრძნობებსაც. ამ თვალსაზრისით მას ძალიან ჰგავს მისი ლექსების ქართველი ინტერპრეტატორი, მხატვარი და მწერალი ოლესია თავაძე, — მიმართა ნამყვანმა შეკრებულ საზოგადოებას.

— ეს არის ორი ერთნაირი სულის შეხვედრა. ალბომი კი სამყაროსა და ადამიანის ერთიანობის განმსახიერებელია, — განაცხადა ესეც და მოკლე მიმოხილვის შემდეგ სიტყვა უკვე მომხსენებელს როსტომ ჩხეიძეს გადაულოცა.

როსტომ ჩხეიძე მიესალმა დარბაზში თავმოყრილ საზოგადოებას და განაცხადა, რომ შეკრების მიზანი გახლდათ როგორც ალბომის წარდგინება, ისე რობერტ ფროსტის გახსნება, საუბარი ქალბატონ ოლესიას ორიგინალურ შემოქმედებაზე, რომელიც დიდ სულიერ სიახლოვეს ამჟღავნებს ამერიკელ ავტორთან. სულიერ სიახლოვეზე საუბრისას მწერალმა მაგალითისათვის განიხილა ფრანკ კაფკას დამოკიდებულება ცივად პოსადმი, რითაც ხაზი გაუსვა შემოქმედთა შორის მიღმიერი კავშირის დიდ მნიშვნელობას.

„ცეცხლისა და ყინულის პარტიტურა“, — ასე უღერდა როსტომ ჩხეიძის საკმაოდ ვრცელი და მრავალსიმომცველი მოხსენების სახელწოდება. პუბლიკა სუნთქვა შეკრული ისმენდა და ცდილობდა, ყველა სიტყვა გულსაგულში გაეტარებინა, ეგრძნო თითოეული ბგერა და სულის ძახილი შემოქმედისა.

მომხსენებელმა დიდხანს და დანერვილებით იმსჯელა ოლესია თავაძის მიერ „მისაკუთრებულ“ რობერტ ფროსტსა და მისი ორიგინალური აგებულების ნიგნალობის შესახებ. განაცხადა, რომ ფროსტთან ავტორის „მისასვლელი გზა მთელ ცხოვრებას დაიცივდა, შუამავლებად კი ეყოლებოდა იოსიფ ბროდსკი და რადიარდ კიპლინგი, და რაოდენ მოულოდნელიც უნდა ჩანდეს „ჩინური ფერწერა“. და გულდასმით მიმოიხილა ალბომი, რომელიც განიზრახებოდა „სიმბოლურ გამოხატულებად მაღალიერებისა დიდი ამერიკელის სახელადამი“.

მწერალმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ გრაფიკულ სერიას „ჩემი რობერტ ფროსტი“ წამოღვარებულ ესეის „ზეცაში დაკარგული“ დავით ანდრიაძე იოსიფ ბროდსკის სიტყვებით ხსნის: **„ბუნება ამ პოეტისათვის არც მეგობარია და არც მტერი და არც დეკორაცია ადამიანური დრამისათვის; არამედ თვითონ პოეტის შემადარსებელი ავტობიოგრაფია“.** დავით ანდრიაძისათვის პოლ დელარისეული თვალსაზრისი სამყაროს ხედვასთან დაკავშირებით გზამკვლევის ფუნქციასაც ითავსებდაო, — მიიჩნევდა როსტომ ჩხეიძე და ხაზს უსვამდა „ზეცაში დაკარგულის“ შესრულების მანერას, ექსპრესიულ სტილს, სწორ ფორმას.

მომხსენებელმა ბრძანა: **„ფროსტი ოლესია თავაძისათვის თავისებური კოჰეზია, ანდა ბუდეა, რომლის აშენება მასაც ხელენიფებაო“.** ხანგრძლივ და საინტერესო მსჯელობაში არ გამოორჩენია არც ერთი მნიშვნელოვანი ხელოვანი, რომლებთანაც სულიერ საზრდოს პოულობდა ნაშრომის ავტორი. **„ოლესია თავაძის ძიებანი უშუალოდ გადაეყვებოდა მისი ცხოვრების წესს“**, — წერს თავის მოხსენებაში როსტომ ჩხეიძე და განმარტავს, რომ ამ გადასახედიდან სულ სხვაგვარად აღიქმება ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებიც კი: **„თუნდაც ქრიჭინა, როგორც აუცილებლობა, ურომლისოდაც ბოლომდე ვერასოდეს შეიგრძნობდი, თუ რა**


არის სახლი და რა არის საფარი“.

მწერალს არც ზვიად გამსახურდიას ხსენება დავიწყებია: **„მოსინჯავდა თავის დროზე ჭაშნიკად ზვიად გამსახურდია ედგარ ლი მასტერსის პოეზიის გვირგვინს: „სფუნ რივერის ანთოლოგიას“, ათწლეულთა შემდგომ ქარდა ქარდუსი თავით ბოლომდე რომ ამეტიყველებდა ქართულად და კიდევ ერთ ჩინებულ პოეტურ კრებულს შესძენდა ჩვენს მთარგმნელობით ლიტერატურას, დასტურად და დასამტკიცებლად: ლექსიც რომ შეიძლება განმინდეს სხვა ენაზე სრულფასოვნად, დიდი მწერლის მადლს რომ გამოიყოლებს. და ზვიად გამსახურდიას მიერ ასევე ჭაშნიკად მოსინჯულ რობერტ ფროს-**

შემდეგ გვითხრა, რომ ახალჩამოსული იყო ჩინეთიდან და ამერიკიდან. **„თავად არჩეული გზამკვლევიც ძალზე საინტერესო გახლდათ. კიბლინგისა და ბროდსკის შემთხვევაშიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის თანხედრა ხდებოდა, რამაც შექმნა წინააღმდეგობაც, ჰარმონიაცა და რთული სურათიც“.**

ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ ჩინური ხელოვნების ეს ნიმუშებიც ახალი ნაწახი ჰქონდა, განსაკუთრებით საინტერესო კი მე-13 საუკუნის ჩინური ფერწერა აღმოჩნდა. მან ისაუბრა ჩინური ფერწერის, როგორც მეტად რთულად აღსაქმელი ხელოვნების შესახებ, რომლის გასაგებადაც სპეციალური ცოდნა არის საჭირო, მაგრამ ამის მიუხედავად, ესთეტიკურ სიამოვნებას მაინც იღებს მხახველი. ამის უკეთეს გასარკვევად ნინო სიმონიშვილმა საზოგადოებას დეტალურად განუმარტა ერთ-ერთი სურათის მნიშვნელობა, რომელიც პოლიტიკურ დატვირთვას მიიმუნის სახეში აქსოვდა.

„ამერიკაში თუ თქვენ ახსენებთ ფროსტს, პატივისცემით შემოგხედავენ, მაგრამ ფროს-



რობერტ ფროსტის ცეცხლი და ყინული

ოლესია თავაძის ნიგნი-ალბომის განხილვა

ტის ლირიკულ დღიურსაც კვლავ ქარდა ქარდუსი გამოუჩნდებოდა გამგრძელებლად და, ღმერთმა ინებოს, ეს ორიოდე ნიმუში ორიოდე ნიმუშად არ დარჩეს და რობერტ ფროსტის მასტერსზე არანაკლები შთამბეჭდაობით წარმოედგეს ქართულ ენობრივ და კულტურულ სივრცეშიც“.

ოლესია თავაძე ოთარ ჩხეიძის ერთ-ერთი ნოველის სათაურსაც — „ნისლა“ — საერთო სახელწოდებად შეურჩევდა მის მიერ შედგენილ ორიგინალურ კრებულს, სადაც შეიკრიბებოდა ქართველ მწერალთა ბელეტრისტული ქმნილებანი, ცხოველებს რომ ეძღვნებოდა.

თავის მხრივ კი შექმნიდა მინიატიურების ორ კრებულს — „სევდიანი ჩანანერები“ და „კაკლის ქარები“ — ავტორივე რომ დაასურათებდა და ეს გაამკვეთებდა მის მხატვრულ-ესთეტიკურ მრწამსსაც, **„როგორც ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული შეილობისა... და კიდევ, რობერტ ფროსტისა...“**

მომხსენებელმა ბრძანა, რომ უნიღობას ერთ არსებით ნიშნად მოიხსენიებდა ფროსტის პიროვნებისა და პოეტური აზროვნებისაზე ზვიად გამსახურდია. ოლესია თავაძის მხატვრულ ჩანაფიქრს, ნიგნი-ალბომის გარეკანზე პოეტის სახეზე აფარებული ხელები შეუცდომლად განგვიმარტავდნენ შესავლად ესეიმი: **„რეალურ მიზანსცენის განმეორებით ფროსტის პროფეტული წინააღმდეგობა წარმოისახაო“.**

შეტად ვრცელი, დეტალური და საოცრად საინტერესო გამოხვლა უძღვნა როსტომ ჩხეიძემ ოლესია თავაძის შრომას და დამსწრეთა აღფრთოვანებაც დაიმსახურა.

ამის შემდეგ ნამყვანმა პუბლიკას წარუდგინა ალბომი, **„საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი“** და ახსენა მასში შესული ქალბატონ ნინო სიმონიშვილის პროფესიული წერილი ოლესია თავაძის მიერ შექმნილ ნაშრომზე. შემდგომ სიტყვის უფლება ცნობილ ხელოვნებათმცოდნეს გადაულოცა.

ნინო სიმონიშვილმა თქვა, რომ მეგობრებისაგან შეიტყო ოლესია თავაძის რობერტ ფროსტისეული სერიის შესახებ და მათ შესთავაზეს გამოფენის მოწყობა. **„სათაურიდან დაწყებული — „ჩემი რობერტ ფროსტი“, — შეპყავსარ სამყაროში, რომელიც მისია და რომელშიც შენც უნდა შეხვიდე... გამოფენა არ არის რაღაც, სადაც მხოლოდ სურათებს ჩამოკიდებ. ჯერ შენ უნდა ჩასწვედე და შემდეგ უნდა იზრუნო ამის რეალიზებაზე. ყოველთვის ექებ რაღაც ლოგიკას, როცა ტრავექტორიას გაძღვეს მხატვარი“.**

ტი ყოველდღიური დისკუსიის საგანი არ არის“. ამ ნახატების დათვლიერებისას თითოეული პიროვნება რაღაც ინდივიდუალურს, საკუთარს პოულობს მათში.

ისაუბრა ფროსტისა და საქართველოს კავშირზეც, განიხილა ისტორიული ეპიზოდები და პარალელები ხელოვნებასთან დაკავშირებით, შეეხო ჯონ კენედისა და რობერტ ფროსტის ურთიერთობასაც. მისგან შევიტყვეთ, რომ ფროსტი საქართველოშიც, კერძოდ, გაგრამში ჩამოსულა და აქ ჰქონდა შეხვედრა საბჭოთა კავშირის იმჟამინდელ მმართველთან ნიკიტა ხრუშჩოვთან. ეს სრულიად ახალი და საინტერესო ინფორმაცია აღმოჩნდა მსმენელისთვის. ბოლოს გამოძსვლელმა მადლობა გადაუხადა პროექტში ჩართულ გოგონებსაც, რომლებიც დიდი რუდუნებით მუშაობდნენ რობერტ ფროსტისადმი მიძღვნილი გამოფენის მომზადებაზე.

ამ გამოსვლამ დიდი ყურადღება და მონონება დაიმსახურა საზოგადოების მხრიდან, მრავლად დაისვა შეკითხვებიც. იკითხეს, შეხვდა თუ არა რომელიმე ქართველი ამერიკელ პოეტს საქართველოში, რა მიზნით გახლდათ ჩამოსული და თუ იყო ეს ცნობილი ამერიკული საზოგადოებისთვის და სხვა. ქალბატონმა ნინომ ივარაუდა, რომ შეხვედრის გასაიდუმლოებული ფორმატის გამო ქართველთაგან სტუმარს ვერავინ შეხვედებოდა. მიზნად, როგორც ჩანს, საიდუმლო მოლაპარაკებები ჰქონდა და ამერიკის საზოგადოებამაც თავისი წარმომადგენლის მოგზაურობის შესახებ გვიან, უკვე პოსტ ფაქტუმ გაიგო. საერთოდ კი, საუბრიდან გამოიკვეთა, რომ ფროსტის ცხოვრების ბევრი დეტალიც არ ვიცით და მითუმეტეს საქართველოში მისი ჩამოსვლის პერიპეტები ჯერ კიდევ შესასწავლია.

შემდეგ მსმენელის წინაშე წარსდგა **დავით ანდრიაძე**, რომელმაც განსაკუთრებული საზგასმით ისაუბრა მხატვრობისა და მწერლობის, როგორც ხელოვნების დარგთა ერთიანობაზე. **„მე საერთოდ არ მწამს მხატვრის, რომელიც მწერლობასთან არ არის გაშინაურებული და არ მწამს მწერლების, რომლებიც მხატვრობასთან არიან უბრად“.** დავით ანდრიაძემ დიდი მადლობა გადაუხადა როსტომ ჩხეიძეს და განაცხადა, რომ ერთი სული აქვს, დაბეჭდოს როდის გაცნობა წარმოდგენილ ესეის. მან აგრეთვე ყურადღება გაამახვილა ნიგნი-ალბომის დიზაინზეც და გამოხატა სიმპათიები მისი გარეგნული მხარის მიმართაც.

შემდეგ ლიტერატურის მკვლევარმა მეზობელმა დავით ანდრიაძემ მიმართა დამსწრე საზოგად-

დოებას. — **„ეს არ არის მხოლოდ ფერწერა, ეს არის ის, რაც ქალბატონი ოლესიას სულიერი სამყაროა“.** გამომსვლელმა გამოკვეთა რომანტიზმის, როგორც უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მიმდინარეობის, კავშირი ხელოვნების სხვადასხვა სფეროსთან და მათ შორის, ფერწერასთან. **„ეს არ არის მხოლოდ ხელოვნება, ეს არის ქალბატონი ოლესიას ხედვითი სამყარო, რაც ემყარება ღრმა ფილოსოფიურ საფუძველს“**, — განაცხადა ალბომით აღფრთოვანებულმა მოსაუბრემ.

დასასრულ სიტყვა ოლესია თავაძეს ერგო, რომელიც მთელი შეხვედრის განმავლობაში ჩუმად, ლამის მორცხვად იჯდა და მაგიდასთან, საქებარი სიტყვების მოსმენის დროს უკმაყოფილებას თავის გადაქნევით გამოხატავდა და მომეჩვენა, რომ არ იცოდა, სად წაელო ხელები, ის ხელები, რომლებმაც ასეთი ჩინებული ფერწერა შექმნეს. უპირველეს ყოვლისა, მან უღრმესი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, როსტომ ჩხეიძეს და ყველა იმ ადამიანს, ვისაც თუნდაც მცირედი წვლილი მიუძღვოდა მისი შრომის დაფასებაში.

„მთელი ჯარია ადამიანებისა, ვის წინაშეც ვალი მაქვს. ყველა ვილაცის მხრებზე ვდგავართ, მაგრამ კონკრეტულად ამ ნიგნის არსებობა არის ჩემი ოცნებანი „ტანჯვა... როდესაც სხვის ლექსს გადავწერ, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მე ვწერ იმას და ამ წერის დროს თითქოს ჩემს სათქმელს ვამბობ და ვუშვებ ამ ტკივილს ორგანიზმიდან და თითქოს მშველის“.

ისაუბრა საკუთარ გრძნობებსა და გაცდებზე, იმ ქართველებზე, რაც მან გამოიარა ამდენი ხნის განმავლობაში, როცა იქმნებოდა მისი ხელოვნება და განაცხადა, რომ ბედნიერება მოუტანა ამ ყველაფერმა. **„ვის ეწყინება, როცა თავზე ხელს გისვამენ და გეფერებინან?“** — ამ სიტყვებით კიდევ ერთხელ გამოხატა მადლიერება როსტომ ჩხეიძის მიმართ, რომლის წყალობით გამოიცა მწერალი ქალის მინიატიურების კრებულები და გარდა ამისა, უამრავი ამაგი მიიღო ამ ადამიანისაგან. ხელოვნმა ისიც გაამხილა, რომ ფიზიკოსობაზე მეოცნებე სრულიად შეცვალა მხატვრობამ და ლიტერატურამ და სხვა მიმართულებით წარმართა მისი ცხოვრება. **„რობერტ ფროსტის სრული უსაშველობა სწორედ ვიბრირებით ვიგრძენი, მაგრამ როგორი, იცით? — დუმილის ფონზე“.**

ემოციებით დატვირთულმა და საინტერესო საღამომ თითოეული მსმენელი ნასიამოვნები დატოვა. დარბაზში დიდხანს ისმოდა ოვაციები, მილოცვები და გულთბილი საუბრები. გადაიღეს სამახსოვრო ფოტოებიც და ეს დღეც სიხარულით მოსაგონარ დღეთა რიცხვს შეემატა.

სალომი წყაროზია

ასპინძელები მამაკაკურ გზას გაჰყვნენ

ასპინძე საკითხავი ტაძრის მშენებლობა აპირებენ

ძარბაზის კაცი რწმენამ გადაარჩინა, — ქრისტიანულმა რწმენამ, რომელიც სიზიფეს მოთმინებით იტანდა ათას მომხდურთა საუკუნოვან შემოსევებს და ბრძოლის ქარცეცხლში ქმნიდა სალოცავ ხატებს, მარად ხელთუქმნელ ტაძარ-მონასტრებს. ღვთივეკურთხეულ ქვეყანაში, ღვთიური მადლით მორწმუნეებულ მიწაზე, ერი და ბერი გამოსავალს მაინც პოულობდა და შთამომავლობას ქრისტიანული რწმენით ზრდიდა, რამეთუ, სწამდა და სჯეროდა, — კაცთა სსნა სამშობლოს, ერისა და ოჯახის სიყვარულშია.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული მასიურად იწყო ქართველობამ ღვთისაკენ, ეკლესიისაკენ შემობრუნება და იქამდე მიძინებულ ეკლესია-მონასტრებს კვლავ მიეძალა მრევლი, — სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა.

როგორც მთელ ქვეყანაში, ასპინძელებიც მამაკაკურ გზას გაჰყვნენ — წმინდა ადგილებს არ აკლია მომლოცველები. დიდი ხანია, აქ არსებული ადრეფეოდალური ხანის ტაძრებში ისევ ისმის ღვთის სადიდებელი გალობანი,

ისევ ინთება წმინდა სანთლები, ისევ აღევლინება ლოცვანი.

და აი, ახლახან, კიდევ ერთი დიდი მოვლენის მოწმენი გავხდით, — 31 ივლისს, დაბის ცენტრში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარისი ილია მეორის ლოცვა-კურთხევით საზეიმოდ ეკურთხა სულთმოფენობის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობა. კურთხევის საზეიმო ცერემონიალი აღავლინა ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპისკოპოსმა, მიტროპოლიტმა თეოდორემ.

საბედნიეროდ, დღეს ქვეყანას კიდევ ჰყავს გამორჩეული ადამიანები, მეცენატები, თავის ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული, ქრისტიანული რწმენით აღზრდილი მამულიშვილები, რომელთა ძალისხმევამ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, დიდი ეროვნული საქმეების კეთებისკენა მიმართული. სწორედ ასეთი ადამიანია ჩვენი მიწა-წყლის ღირსეული შვილი, ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი, შპს „ნილის“ დამფუძნებელი, ბატონი ემზარ ასპანიძე, რომლის სახელს მრავალი დიდი ქართუ-



ლი ეროვნული საქმე უკავშირდება, მათ შორის დაბა ასპინძაში საკათედრო ტაძრის მშენებლობის დაფინანსების ძირითადი ნაწილიც თავის თავზე აიღო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობის დაფინანსებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს როგორც მუნიციპალიტეტის მერია, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის საეპისკოპოსო, ასევე მოსახლეობაც. ჩვენ კი, იმედია, ამ ღვთიური მადლით გაჯერებულ მარადიულ ნაყოფს უახლოეს მომავალში ყველა ერთად ვიხილავთ.

სულთმოფენობის სახელობის ასპინძის საკათედრო ტაძრის კურთხევას არა მარტო ასპინძელები, არამედ სამცხე-ჯავახეთის გუბერნიის, სამღვდლოების, მეზობელი მუნიციპალიტეტების თვითმმართველი ორგანოების, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის, საზო-

გადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ტაძრის კურთხევის საზეიმო ცერემონიალის მონაწილეებს მიესალმა მხარის გუბერნატორი ზესიკ ამირანაშვილი და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე.

ცერემონიალის მსვლელობისას ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების მიერ შესრულებული იქნა ქართული ხალხური სიმღერები და ხვილიშის წმინდა გიორგის სახელობის მგალობელთა გუნდის მიერ — ქართული საგალობლები.

ტაძრის პროექტის ავტორია თემურ ბერიძე.

აპირადილი ბერიძე, გამეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორი



„მოით, მოქუჩდით, ამბავს ავწერ აღრიხდელსა“

რუბრიკას უძღვება ქეთევან ყუბანიშვილი

„ტფილისად და კალა-ციხედ პიტიახში მოსულა“ — (წყაროებიდან).


იცით თუ არა, ჩვენი თბილის-ქალაქის დაარსებასთან ერთად ტფილისის პირველი უბანი რომ კალა უბანი იყო? მაშ, გავიცნოთ კალა...

ტფილისს, ჩრდილო-დასავლეთის ციხე-გალავნის კედლების კვეთაზე, „დიღმის კარიბჭე“ ჰქონდა ჩაშენებული (დღევანდელი ვერცხლის ქუჩის დასაწყისი). ასევე, ვახუშტი ბატონიშვილის გეგმის (1735 წ.) მიხედვით, ერთმანეთის სიახლოვეს ორი კარიბჭე — „მეიდნის კარის ხიდი“ და „ქვემო კარის ხიდი“ ყოფილა და შემდგომ გაერთიანებულა „მუხრანის კარის ხიდად“. ტფილისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კარი — „კოჭრის კარი“ (შემდგომ კოჭრის) ყოფილა და ეს ის ადგილია, დღეს კ. აფხაზის ქუჩა (ყოფილი ლესელიძის ქუჩა) თავისუფლების მოედანს რომ უერთდება. ტფილისის ციხე-გალავანს კიდევ ორი ცნობილი კარიბჭე ჰქონდა — „აბანოების კარი“ და „განჯის კარი“ (ნარიყალას ძირში). მოკლედ, კალაში შემოსვლა განჯის, აბანოების, კოჭრის, დიღმისა და მუხრანის კარიბჭეებით ყოფილა შესაძლებელი მხოლოდ (ვახ. რა პატარა ყოფილხარ შენ, ჩემო თბილის-ქალაქო).

თავად კალა უბანს ორი მთავარი მოედანი ჰქონდა — „ციხის მოედანი“ (დღევანდელი გორგასლის მოედანი) და „ბატონის მოედანი“ (დღევანდელი როსტომ მეფის მოედანი). ეს უკანასკნელი, ფუნქციას მას შემდეგ აღიდგენს, როდესაც როსტომ მეფე აქ ახალ სასახლეს ააშენებს (XVII ს.).

ტფილისის ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალი კი დიღმის კართან იწყებოდა, რომელიც გადიოდა ბატონის მოედანზე და დღევანდელი სიონის ქუჩის გავლით, თათრის მოედანს (ციხის მოედანი) უერთდებოდა. მეორე მთავარი მაგისტრალი კი კოჭრის კართან იწყებოდა და რომელიც კალას ზემო და ქვემო უბნებად ჰყოფდა. გამყოფ ადგილს კი „შუაბაზარი“ ერქვა (კ. აფხაზის და ვერცხლის ქუჩების კვეთა). სწორედ, „ზემო უბანში“ ყოფილა განლაგებული მეფეთა სასახლე და პალატები, ქარვასლები და ეკლესიები, რომელთა ირგვლივ წარჩინებულ ქართველთა სახლები ყოფილა ჩამსკრებილები.

აი, „ქვემო უბანი“ კალას ზედა ფერდობზე კი იყო შეფენილი, მაგრამ რადგან მტკვრის დინების ქვედა ნაწილში მდებარეობდა, ქვემო უბანად იწოდებოდა. მისი ცენტრი მეიდანის გახლდათ, სადაც ქართველებთან ერთად ებრაელები, სომხები და მუსულმანები (ძირითადად როსტომ მეფის დროს ჩამოსახლებულები) სახ-



ლობდნენ და როგორც ხედავით, ეს „უბრალო მოქალაქეთა“ დასახლება იყო. აქ ჰქონდათ გახსნილი ქართველ ხელოსნებს სავაჭრო დასახლები, აქვე ჰქონდათ სომხებს ათვისებული შუა ბაზრის რიგები და აქვე, სინაგოგის უკან არსებულ ქუჩაბანდებში გვერდიგვერდ ვაჭრობდნენ ებრაელები.

მოკლედ, კალა უბანი რომ ორ უბნად იყო გაყოფილი, ეს უკვე იცით. თავად უბნები მცირე უბნებად რომ იყოფოდა, ეს თუ იცით?! და თუ არ იცით გეტყვით, რომ აქ ყოფილა ქართველთა, მოგვთა და ურიათა უბნები; აქვე ყოფილა მჭედლის, სამღებროს, ღვინის

უბნები; ასევე ანჩისხატის, ნორაშენის, სიონის, ციხის კარის უბნები და დავძენ, ყოფილა ფრიად უცნაური დასახლებების უბნებიც — ცოცხალანთ, ყორღანანთ, ფირყულანთ უბნები და რა მოთვლის კიდევ რა?!

ჰო, არ დამავინყდეს, შუაბაზრის მარჯვენა მხარეს ფრანგთა უბანი იგივე „პატრებიანთ“ (Padre) უბანი არსებობდა (დღევანდელი გ. აბესაძის ქუჩა). უბანს სახელწოდება კი ფრანგ კათოლიკეთა ეკლესიის გამო მიუღია, „...და ამა მიზეზთა სრულიადსა უბანსა და ქუჩასა მას ტფილისსა შინა ეწოდების ფრანგთა უბანი“ (XVIII ს. წყარო)

სამწუხაროდ, კალა უბნის დიდი ნაწილი დაინგრევა და ცეცხლს მიეცემა იმ „ბოროტი და სისხლით გაფუჭებული“ საქურისი ალა-მამად ხანის შემოსევისას, ავბედით 1795 წლის 11 სექტემბერს.

...და კალას განაშენიანება XIX საუკუნეიდან, ფაქტობრივად, თავიდან დაიწყო.

P. S. სანინტარესო დეტალი — ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, XVIII საუკუნეში ჩვენი თბილის-ქალაქი მხოლოდ ტფილისს, კალას, ისანსა და გარეთუბანს მოიცავდა. ისინისა და გარეთუბნის შესახებ შემდგომ თავებში გიამბობთ, ხოლო გარეთუბნის კალოუბანზე ორიოდე სიტყვით აქვე გეტყვით, რომ კალოუბანი კალოუბანში არ შემგვალთ.

მაშ ასე, კალოუბანს XVI საუკუნის ისტორიულ წყაროებში ვხვდებით პირველად. ისტორიკოს პლატონ იოსელიანის (XIX ს.) გადმოცემით, XIV საუკუნეში, თემურ-ლენგის შემოსევისას, კალოზე ბავშვები გაუ-

თელავთო ცხენებით ... ვახ, რა ისტორიის მატარებელი ხარ შენ, ჩემო თბილის-ქალაქო!

შემდგომში, კალოუბანი კი ის ადგილი გახდება, სადაც ბოლშევიკები წმინდა გიორგის ტაძარსა და XIX საუკუნის ჰაუზებს შინაგანად ერთად ააფეთქებენ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ და მათ ადგილას კინოთეატრს „რუსთაველი“, საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და საცხოვრებელ სახლებს ააშენებენ.

შოტოზა — კალოუბანის ტაძარი და პაპუაბატის შენობა (1913 წ.).



პოლიტიკოსების, არასამთავრობო სექტორის და ჟურნალისტიკის წევრებით რუსოფობია ვარსკვლავებს წვევს ციდან. საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა თანხმდება, რომ რუსეთი აგრესორი, ოკუპანტი და მტერია. ზოგიერთთა მიხედვით უფრო მტარვალნი და საშიშნელი, ვიდრე თურქი და სპარსელი იყო.

მაინც რამ გამოიწვია რუსეთის მიმართ „მთვლემარე“ მდგომარეობაში მყოფი „სიყვარულის“ უცაბედი გამოფხიზლება?

მიზეზები მრავალია და მათში ლომის წილი მედიაზე მოდის. 30 წლის განმავლობაში ყოველდღიური ანტირუსული განცხადებები რომ მიზანს მიაღწევდა და ტვირის გადაუტრიალებდა საქართველოს მოსახლეობას, ფაქტია.

ამ ხნის განმავლობაში რუსეთის დადებითად მოხსენიების ერთი შემთხვევაც არ ყოფილა. რუსეთი არის დამნაშავე ყველაფერში, იმასიც, რაშიც მისი მონაწილეობის კვალი დაუდასტურებელია. ასე რომ, რაც არ უნდა არგუმენტები მოვიყვანო, ვიცო, ურწმუნო თომებს ვერაფერს შევავანებინებ, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას.

დავსვამ კითხვას – მარტო რუსეთის დუმის წევრის გავრილოვის პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდომა იყო მთავარი გამაღიზიანებელი, რამაც ხალხი ქუჩაში გამოიყვანა?

პასუხი – გავრილოვის თემა იყო მახვილებელი, მაგრამ მასთან ერთად იყო „ლგბტ“-ს, „პრაიდის“, გეი-პარადის ჩატარების თემებიც და მათ მიმართ საქართველოს ხელისუფლების ნეგატიური დამოკიდებულება. საქართველოს ხელისუფლება დადგა პრინციპულად, რაც დასაფასებელია.

ყველა აღნიშნულმა თემამ ერთ მუშტად მოიყარა თავი და ნაცვების თაოსნობით მას ანტირუსული პატრიოტიზმი დაერქვა. ვერც ერთ ჩამოთვლილ საკითხზე ნაცვები ქუჩაში ხალხს ვერ გამოიყვანდნენ, ამდენად, ისე, როგორც „მშვიდობიანობის“ დროს აქტივტი რუსულ ოკუპაციაზე, აგრესიულობაზე გაკეთდა. ნაცთა მზაკვრულმა გათვლამ გამართლა, მაგრამ მარტო მათმა?

ნაცვებს ზურგს უმაგრებდა და უკარნახებდა ოკეანისგადაღმებელი პარტნიორი. ერთ-ერთი მათგანი მაიკლ კარპენტიერი, აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ბაიდენის მრჩეველი, ამბობდა, რომ მისი დღით ადრე იმყოფებოდა თბილისში. თუ რა უთხრა მან ქართულ პოლიტიკას, განსაკუთრებით ნაცვებს, ასახვა პოვა მედიაში – რუსი ტურისტების მოჭარბებული რაოდენობა (მას ასე ჰგონია) კატასტროფულად იმოქმედებს საქართველოს დამოუკიდებლობაზე, ისე, როგორც რუსების მიერ უძრავი ქონების შექენა. დღეს თუ რუსეთს საქართველოს 20% უკავია, ხვალ ის (ბინების შექენით) 100%-ს დაიკავებს.

ამერიკელმა „კეთილისმუსრველმა“ კარგად აუღო ალლო საქართველოს საზოგადოების მტკივნეულ პრობლემას და აშშ-ის სასარგებლოდ ააბუნტა ხალხი რუსეთის წინააღმდეგ. ბუნტის შედეგი რომ სერიოზულია და მის სასიკეთოდ შემობრუნებას წლები დასჭირდება, საკამათო არ არის. ასე რომ, არ იქნებოდა გავრილოვი, სხვა საბაზი გამოიქნებოდა, მაგალითად გეი-პარადი.



„გაპრილოვის თავგადასავალი“

ლავის ამოფრქვევისთვის პატარა ნაპერწკალიც საკმარისია, თორემ რუსეთის დუმის წევრის, პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდომა რა სერიოზული განხილვის საგანია?

გავრილოვი არის მართლმადიდებელი საპარლამენტო ასამბლეის მიერ არჩეული თავმჯდომარე, რელიგიაში ზედმინწვნით გათვითცნობიერებული. როგორც თვითონ განაცხადა, სწავლობს სასულიერო სემინარიაში და მღვდლობას აპირებს.

საქართველოს ხელისუფლებამ 2 ნელზე მეტია მიმართა მას და აღნიშნულ ორგანიზაციას თბილისში ასამბლეის ჩატარების თხოვნით. გავრილოვმა და სხვებმა გაიზარეს რა საქართველოს თხოვნა – გადაწყვიტეს თბილისში ასამბლეის ჩატარება.

საპარლამენტო ასამბლეის სხდომები წესისამებრ მასპინძელი ქვეყნის პარლამენტის დარბაზში ტარდება, რაც დიდი პატივია მასპინძელი პარლამენტისთვის. სხდომის დღეს დარბაზში ასამბლეას ეკუთვნის, ხოლო ადგილობრივი პარლამენტარები სხდომის სტუმრების როლში არიან.

საპარლამენტო ასამბლეის პროტოკოლით, ასამბლეის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი იკავებენ დარბაზში არსებულ საპატიო ადგილებს. ასეთად სპიკერის ადგილი მოიაზრება. გავრილოვმა დაიკავა პარლამენტის თავმჯდომარის ადგილი არა როგორც რუსეთის დუმის დეპუტატმა, არამედ როგორც საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ (პრეზიდენტმა). მას რომ სხვა ადგილის დაკავების სურვილი გასჩენოდა, მასპინძელთა შეურაცხყოფა იქნებოდა. მაშინ იტყოდნენ, რუსმა გავრილოვმა არ იკადრა პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდომა.

ეს არ ჰგავდა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ბაიდენის მიერ უკრაინის მთავრობის სხდომაზე მაგიდის თავში მასპინძელი ქვეყნის პრეზიდენტის სავარძელში ჩაჯდომას. ამით ბაიდენმა ხაზი გაუსვა – ვინ არის უკრაინაში უფროსი. ბაიდენის ქცევამ ჩრდილი მიაყენა უკრაინის სუვერენიტეტს, რასაც ვერ ვიტყვით გავრილოვზე. როგორც ჩანს, გავრილოვის შემთხვევაში ფართო საზოგადოებამ იფიქრა, რომ მან საქართველოს პარლამენტის სხდომაზე დაიკავა სპიკერის ადგილი. ასეთი რამ რომ მომხდარიყო, გავრილოვის მოქმედება დასაგმობი იქნებოდა.

გავრილოვი, დარბაზი იმ დღეს ეკუთვნოდა მართლმადიდებელ საპარლამენტო ასამბლეას და მისმა პრეზიდენტმა დაიკავა ის ადგილი, რაც უნდა დაეკავებინა.

ასე რომ, არც პარლამენტის თავმჯდომარეს და არც პარლამენტის პროტოკოლის სამსახურს შეცდომა არ დაუშვიათ. შეცდომა იყო ის, რომ კობახიძემ ბოდიში მოიხადა გავრილოვის მიერ სპიკერის სავარძელში ჩაჯდომის გამო და გადადგა თანამდებობიდან.

აი ასე, რუსები რომ იტყვიან – სრულიად „სწორ ადგილას“ ააგორა ნაცმოძრაობამ „პატრიოტული“ ბუნტი, რითაც გამოიწვია ასამბლეაში მონაწილე 20-ზე მეტი ქვეყნის პარლამენტარის და უცხოელი დამკვირვებლების გულისწყრომა.

გავრილოვი და ასამბლეის მონაწილეები დარბაზიდან გარეკეს. ასამბლეა ჩაიშალა, რასაც მოჰყვა საქართველოსთვის და არა ნაცმოძრაობისთვის არასახარბიელო დასავლური პრესა. საქართველომ და არა ნაცმოძრაობამ, დაამტკიცა, რომ შორს, ძალიან შორს არის ევროპული ცივილიზაციისგან, დემოკრატიისგან, სტუმართმოყვარეობისგან,

პროტოკოლის ელემენტარული ცოდნისგან, რაც ესოდენ საჭიროა თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრებაში.

რუსოფობიის ახალმა გამოვლინებამ უზნეობის მწვერვალები დაიპყრო, რასაც რუსეთის ხელისუფლების რეაქცია მოჰყვა. დროებით გაუქმდა რუსეთ-საქართველოს შორის საპატიო მიმოსვლა. ტურფირმებს რეკომენდაცია მიეცათ, არ გაყიდონ ტურები საქართველოში. „როსპოტრენადაზორმა“ უკმაყოფილება გამოთქვა ქართული ღვინის ხარისხზე და ა.შ.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ საქართველოში რუსი ტურისტების რიცხვი ჭარბობს ყველა სხვა ქვეყნის ტურისტებს და მათ მიერ აქ დახარჯული თანხა ერთ მილიარდ დოლარს უტოლდება – ქვეყნისთვის დიდი დანაკლისია; თუ „როსპოტრენადაზორი“ შეამცირებს ქართული ღვინის იმპორტს, აქაც დანაკარგი საგრძნობი იქნება, ვინაიდან ქართული ღვინის ექსპორტის 70% რუსეთზე მოდის. თვითმფრინავების მიმოსვლა მარტო ტურისტების ტრანსპორტირება არ არის, მას სხვა დატვირთვაც აქვს – ტვირთბრუნვა.

ტყუილად ცდილობს ქართული მდია რუსეთის პრეზიდენტის გადამწყვეტილება მტრული გრძნობებით ახსნას. პრეზიდენტი უპირველესად საკუთარი ხალხის უსაფრთხოებაზე უნდა ფიქრობდეს, რასაც ის ავლენს. საინტერესოა, როგორ მოიქცეოდა სხვა ქვეყნის პრეზიდენტი, როდესაც მოისმენდა საქართველოს პარლამენტის ტრიბუნიდან ვილაც შეშლილის მიერ მიკროფონში ჩაძახილ მუქარას – **რუსებს ვზოცავდით, ვზოცავთ და დავზოცავთ.**

ქვეყნის შიდაპოლიტიკური არეულობა მიიმე დაღს ასვამს უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, ტურიზმს, ორმხრივ ურთიერთობებს, ქვეყნის იმიჯს და კიდევ სხვა მრავალს, რაც ესოდენ აუცილებელია ბიუჯეტის შევსებისთვის.

იქნებ დაფიქრდეს ვინმე და გულწრფელად თქვას – განა ლარის კურსის ვერდნა შემონახსენები მაგალითების შედეგი არ არის?

საქართველოს პოლიტიკამ, განსაკუთრებით ოპოზიციამ ქვეყანა ლამის ეკონომიკურ კოლაფსამდე მიიყვანა და მიჰყავს, ხელისუფლება კი შეშინებული კურდღლის როლშია და არ იცის, რა ილნოს; მედია მაქსიმალურად ძაბავს ვითარებას, ნაცვლად კონსტრუქციული ქმედებისა. საბოლოო ჯამში კი ქვეყანა ევლობა ეკონომიკური გაუსაძლისობის ქაობში, რომლიდანაც ამოსვლას მრავალი წელი დასჭირდება.

30 წლის განმავლობაში, რაც ქართულმა პოლიტიკამ მოაყენა ქვეყანას – ეკონომიკის წგრევა, სოციალური ვითარების უკიდურესი დაცემა, თავხედობის, უზნეობის ტირაჟირება პარლამენტის სხდომათა დარბაზში და მედიაში, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში არც ერთ მტერს არ მიუყენებია.

ტყუილად იშვერენ ხელს სხვისკენ, ტყუილად ადანაშაულებენ სხვას. საკუთარ თავს შეხედონ, ჩაიხედონ საკუთარ გულში, ხალხს ჩახედონ თვალეში.

პაველიტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი.



ტარიფები ჩინურ პროდუქტიაზე

ამერიკის შეერთებული შტატები კიდევ 300 მილიარდი დოლარის ღირებულების ჩინურ პროდუქტიაზე ტარიფს 1 სექტემბრიდან აამოქმედებს, – ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სოციალურ ქსელში დაწერა.

„სავაჭრო მოლაპარაკებები გრძელდება და ამ მოლაპარაკებების განმავლობაში აშშ 1 სექტემბერს დაიწყებს 10-პროცენტის მცირე, დამატებითი ტარიფის დადებას ჩინეთიდან ჩვენს ქვეყანაში შემოსულ დარჩენილ 300 მილიარდი დოლარის პროდუქტიაზე“, – წერს დონალდ ტრამპი სოციალურ ქსელში. როგორც „სიონი“ წერს, ახალი ტარიფები ამერიკელი მომხმარებლისთვისაც მიიმე იქნება და ის მოიცავს ისეთ პროდუქტებს, როგორცაა „აიფონი“ და სხვა ელექტრონული მოწყობილობები, სპორ-

ტული ფეხსაცმელები და სათამაშოები. გასულ წელს დონალდ ტრამპმა ტარიფი დაუწესა 250 მილიარდი დოლარის ღირებულების ჩინეთში წარმოებულ სამრეწველო პროდუქციას.

პასუხისმგებლობას რუსეთს აკისრებენ

ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ესმიანება აშშ-ის მიერ საშუალო და მცირე მანძილზე მოქმედების რაკეტების ლიკვიდაციის შეხახებ შეთანხმების დატოვებას, რითაც შეთანხმებამ ოფიციალურად შეწყვიტა მოქმედება. სტოლტენბერგი შეთანხმების შეწყვეტაზე მთელ პასუხისმგებლობას რუსეთის ხელისუფლებას აკისრებს.

„საშუალო და მცირე მანძილზე მოქმედების რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმებამ დღეს არსებობა შეწყვიტა. ხელშეკრულების გაუქ-

მებაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ რუსეთს ეკისრება. ნატო მთელი პასუხისმგებლობით გააგრძელებს შეკავების პოლიტიკისა და თავდაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებას“, – წერს იენს სტოლტენბერგი მიკრობლოგ „ტვიტერზე“.

„საერთაშორისო ბირთვული ძალების შეთანხმება“ ფორმალურად აღარ არსებობს. აშშ-ის და ნატოს მიერ შეთანხმების ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად ვადა 2 აგვისტომდე იყო მიცემული.

დასავლეთი რუსეთისგან რაკეტა „ისკანდერ ემ“-ის განადგურებას ითხოვდა. ნატოში ახსადებენ, რომ აღნიშნულ რაკეტას ბირთვული იარაღის გადატანა და ევროპის ქალაქებამდე შეუძლია მიღწევა. შეთანხმებას ხელი 1987 წლის 8 დეკემბერს მოუწერა. შეთანხმების შეწყვეტას უარესად სამწუხარო უწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ანტონიო გუტერესი და აცხადებს, რომ მსოფლიომ დაკარგა ბირთვული იარაღის გამოყენების შემაკავებელი ძლიერი ინსტრუმენტი.

გაზნახეპრლით

რომორც მოგეხსენებათ, კონტინენტის პოპულარულ საკლუბო ტურნირებში ქართული კვარტეტი ჩაება, ევროპა ლიგის მე-

სამე საკვალიკიფაციო რაუნდში კი ორი თბილისური გუნდი ითამაშებს.

განსაკუთრებით გაგვახარა ესპანელი ჩისკოს მიერ განვრთნილმა დედაქალაქის „დინამომ“, რომელმაც საკუთარ მინდორზე დაჯაბნა აზერბაიჯანული „გაბალა“ – 3:0 და რევანში აიღო მასთან სამი სეზონის წინათ განცდილი მარცხისათვის (პირველი მატჩი – 2:0).

აღსანიშნავია, რომ „თეთრ-ლურჯებმა“ წლევანდელ გათამაშებაში მეტოქეებს უკვე 12(!) ბურთი გაუტანეს, მათი კარი კი ჯერაც აუღებელია.

საპასუხო შეხვედრის გვირად უმაღლესი ინდივიდუალური ოსტატობით შესრულებული დუბლის ავტორი ლევან შენგელია მოგვევლინა, რომელიც სექტემბრიდან კარიერას ესპანეთის სეგუნდა დივიზიონის „კადისში“ გააგრძელებს, ხოლო სტუმართა რბევას, ასევე, ეფექტიანი გარღვევითა და ფილიგრანული დარტყმით წერტილი აფრიკელმა ლეგიონერმა კარიკარიმ დაუსვა.

ასე რომ, 8 და 15 აგვისტოს ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კლუბს მისი ძველი ნაცნობი – როტერდამის

შეხვედრა ნარსულთან



„ფეინოორდი“ გამოცდის – ჯერ ჰოლანდიაში, შემდეგ – თბილისში. ასევე ნარსულის აზრდითან მოუნევეს შებრძოლება ჩემპიონთა ლიგადან დაქვეითებულ „საბურთალოს“. ესაა ერევნის „არარატ არმენია“, რომელიც 6 აგვისტოს სომხეთში გვიმასპინძლებს, 14 აგვისტოს კი საქართველოში გვეწვევა. „აბერდინი“ – „ჩიხურა“ 5:0 (პირველი მატჩი – 1!).

გიორგი შოთაძე

რაგბი ჩვენი თაგაზია!

შეუსვლელი არაპინაა



ცნობილია, რომ 27 აგვისტოს თბილისში უნდა გამართულიყო საქართველოსა და რუსეთის მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებთა საწვრთნელი მატჩი მსოფლიოს თასის გათამაშებისთვის მზადების პროგრამით, რომელიც 20 სექტემბერს სტარტს იაპონიაში აიღებს, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გამო ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა აქ ჩამოსვლაზე უარი შემოთვალეს.

საბედნიეროდ, გამოსავალი და შემცვლელი

ლი მალევე გამოიძებნა: ესაა სამხრეთაფრიკული „საუთერნ კინგზი“, რომელსაც ათწლიანი ბიოგრაფია აქვს, პორტ ელიზაბეტშია ბაზირებული და კელტა ლიგაში თამაშობს.

აღსანიშნავია, რომ „ბორჯღალოსანთა“ მომავალ მეტოქეს ზე რაგბიში რამდენიმე სეზონის განმავლობაში გამოსვლით დაგროვებული გამოცდილება უმაგრებს ზურგს, სადაც თავი ვერაფრით გამოიჩინა და აღნიშნული ტურნირის ორგანიზატორთა მიერ განხორციელებულ შემცირებაში მოყვა.

რაც შეეხება ჩვენს გუნდს, იგი ამ დღეებში საწვრთნელ შეკრებას განთქმულ თურქულ კურორტ ბელეკში გადის და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, „სამხრეთელ მეფეებთან“ ზემოთ უკვე ნახსენები ბრძოლის კვალად, ორ სპარინგს შორილანდიასთან ჩაატარებენ – 31 აგვისტოს შინ და 8 სექტემბერს – ედინბურგში.

კობა კობახიძე

უიგლდონის ეპო

პროფესიული სპორტის მთელ რიგ სახეობებში თამაშის წესების დარღვევა, ან არასპორტული საქციელი, სპორტსმენის მიმართ არა მარტო საჯარიმო სასჯელების მიღებით, არამედ, ხშირად, შემდგომი დისკვალიფიკაციითა და ფულადი ჯარიმებით ისჯება. ამ მხრივ გამონაკლისი არც წლეულს ივლისში გამართული ჩოგბურთში ინგლისის ღია ჩემპიონატი – საქვეყნო ცნობილი უიმბლდონის ტურნირი იყო.

დიდი სლემის რიგით მესამე ტურნირი – უიმბლდონი-2019 სპორტულ სამყაროს დაამახსოვრდება არა მარტო სერენა უილიამსის გამაყრუებელი მარცხით, არამედ მისთვის გამოტანილი ერთობ უჩვეულო ჯარიმითაც. არანაირ საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ სერენა საჩოგბურთო კორტზე ხშირად საკმაოდ გამომწვევად იქცევა ხოლმე, რისთვისაც თითქმის არასოდეს ისჯება, მაგრამ ახლა უიმბლდონის ტურნირის ორგანიზატორებმა მას გაზონის დაზიანების ბრალდება წაუყენეს, როცა ჩოგანი კორტს დაანარცხა. სპორტსმენმა თავი ემოციების მოზღვავებით იმართლა, თუმცა, მაინც 10 ათასი დოლარით დააჯარიმეს.

ყველაზე უჩვეულო ჯარიმა უიმბლდონში წლეულს იტალიელმა ჩოგბურთელმა ფაბიო ფონინიმ მიიღო: მან წარუმატებელი შეხვედრის დროს ისეთი ფრაზა წამოიძახა, რომელმაც ორგანიზატორები დიდად გაანაწყენა: „წყეუ-

როსა ნერვებს ვერ თოქავენ, ქისის გახსნა უნავთ...



ლი ინგლისელები! განა აქ თამაში შეიძლება? ნეტავი აქ ბომბი აფეთქებოდეს!“ ამ სიტყვების გამო იტალიელს 3 ათასი დოლარის გადახდა მოუწია.

მოკლედ



ბანისად ბელგრადის მთავარ საფეხმავლო – თავად მიხეილის ქუჩაზე, რომელიც სერბეთის რესპუბლიკის განსაკუთრებული მნიშვნელობის ძეგლთა სიაშია შეტანილი იქ განთავსებულ ისტორიულ შენობათა უმეტესობის მეცხრამეტე საუკუნეში აგების გამო, მსოფლიოს პირველი ჩოგნის, დიდი სლემის ტურნირების 16-გზის ჩემპიონ ნოვაკ ჯოკოვიჩის მუზეუმი გაიხსნება.

800 მეტრზე სირბილში ორგზის ოლიმპიური და სამგზის მსოფლიოს სამხრეთაფრიკელი ჩემპიონი კასტერ სემენია ორგანიზმში ტესტონორბის საერთაშორისო ფედერაციის ახალი წესების თანახმად ერთ ლიტრზე ხუთ ნანომილს არ უნდა აღემატებოდეს, შვეიცარიის ფედერალურმა სამართლომ სექტემბერში ყატარის დედაქალაქ დოჰაში გასამართავ მუნდიალზე არ დაუშვა.



ბოსტონში მოწყობილ აუქციონზე, შესაბამისად, 61 ათას ექვსას და 25 ათას ოთხას ევროდ გაიყიდა ფრისტაილში ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადაზე ბელარუსი ალექსეი გრიშინის მიერ მოპოვებული ოქროსა და ბრინჯაოს მედლები, რითაც ყოფილმა სპორტსმენმა თავისი ახლო მეგობრის ოპერაცია დააფინანსა.

ვიტალი ჯაფარიძე

ს.ს.ი.პ - წილის ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წილის ეროვნული სააგენტოს განცხადება-მოპოვების ლიცენზიის გასაქმის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წილის ეროვნული სააგენტოს ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წილის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ წილის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი 202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა Info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე სასარგებლო წილის ეროვნული სააგენტოს ლიცენზია
5	<p>ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:</p> <p>ა) სასარგებლო წილის ეროვნული სააგენტოს შესწავლა განხორციელოს ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არა უმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში. არა უგვიანეს შესწავლის ვადის ამოწურვისა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასარგებლო წილის ეროვნული სააგენტოს მარაგების დასამტკიცებლად შესაბამის ორგანოში წარადგინოს მარაგების ანგარიში;</p> <p>ბ) მარაგების დამტკიცების შემდეგ, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წილის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე. ზემოაღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ლიცენზიის გამცემისათვის წარდგენისა და ლიცენზიაში ცვლილების განხორციელების შემდეგ, ლიცენზიანტი უფლებამოსილია განახორციელოს სასარგებლო წილის ეროვნული სააგენტოს მოპოვება;</p> <p>გ) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დამონტაჟდეს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;</p> <p>დ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს;</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი ვანის მუნიციპალიტეტი, სოფ. სულორის ტერიტორია, სასარგებლო წილის ეროვნული სააგენტოს (მიწისქვეშა მტკნარი წყალი) შესწავლა-მოპოვება (წყარო №1, №2, №3 და №4).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა ვანის მუნიციპალიტეტი, სოფ. სულორის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი 10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) 1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი 5 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 5 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 3 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 3 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 3 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა 25 წელი
14	სხვა მონაცემები აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

კანადის შვილიშვილი ნარკოტიკებზე იმსხვერპლა



აშშ-ის 35-ე პრეზიდენტის ჯონ კენედის უმცროსი ძმის, ცნობილი პოლიტიკოსის რობერტ კენედის შვილიშვილი სორს კენედი პილი ნარკოტიკების ზედოზირების შედეგად გარდაიცვალა. წერს **The New York Times**-ი. გამოცემის ცნობით, 22 წლის გოგონა კენედების მამულში, ჰაიენის-პორტში გარდაცვლილი იპოვეს. „დღეს სამყარო ნაკლებად მშვენიერი გახდა“, - განაცხადა რობერტ კენედის 91 წლის ქვრივმა ეთელმა. პოლიციამ გამოძიება დაიწყო. **The New York Times**-ი აღნიშნავს, რომ გოგონას დეპრესია სტანჯავდა. რობერტ (ბობი) კენედი 1968 წელს კენჭს იყრი-

და პრეზიდენტად დემოკრატიული პარტიიდან, მაგრამ კალიფორნიის პრაიმერის მოგების შემდეგ, 5 ივნისს, იგი არაბმა ემიგრანტმა სირჰან სირჰანმა მოკლა. მას ეთელისგან 11 შვილი დარჩა, მათგან მეთერთმეტე დაიბადა რობერტის მკვლელობის შემდეგ.

საულის არაბეთში ქალებს დამოუკიდებლად მოგზაურობის უფლება მისცეს

	მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში; გ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება; დ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი არ შეუზღუდავს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფას; ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს მარგადაზურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება; თ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გათვალისწინებით (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები; ი) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის; კ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და "წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს; ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); მ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, „საქართველოს ტყის კოდექსით“, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.	
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. ენაგეთის მიმდებარე ტერიტორია, „ენაგეთის“ ქვიშაქვების (სხვა საშენი მასალა) გამოვლინება, (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 23 190 მ ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. ენაგეთის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	4 942 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	494.2 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 671 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 5 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 3 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 3 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 3 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №10		


ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1 საიდენტიფიკაციო ნომერი	202482571
2 მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3 ელ-ფოსტა	Info@nam.gov.ge
4 სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5 სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.</p> <p>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორებაზე განხორციელებული სამუშაოების დასრულების შემდეგ.</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განხორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტერის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში.</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დაზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.</p> <p>ვ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოინჟინირი სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები.</p> <p>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.</p> <p>თ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღის სარგებლობისას იშვიათი მეტალურული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.</p> <p>ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>კ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6 სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. იმირის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხრამის ქვიშა-ხრემის საბადო (უბანი თამარისი), (კატეგორია - B+P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 21 120 მ ³).
7 სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. იმირის მიმდებარე ტერიტორია
8 აუქციონის საწყისი ფასი	17 168 ლარი
9 ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%)	1 716.8 ლარი
10 უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს (10%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	1 917 ლარი
11 აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 5 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 3 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
12 აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 3 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 3 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
13 სარგებლობის ლიცენზიის	2 წელი

14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №11		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202482571
2	მისამართი/ტელეფონი	ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;</p> <p>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს;</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განხორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;</p> <p>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებს და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების ადების საშუალება;</p> <p>ე) ლუქის ახსნა-დადება და შესაბამისი აქტის შედგენა რეგულირების საფასურის გადახდელთა სალიცენზიო ობიექტებზე ხორციელდება - ლიცენზიის გამცემი ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, ყველა სხვა შემთხვევაში კი - ლიცენზიის მფლობელის მიერ, მისი ჩაბარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.</p> <p>ვ) ლიცენზიანტი, რომელსაც არ ეხება რეგულირების საფასურის გადახდა, ვალდებულია, ლუქის ახსნის/დადების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია წარუდგინოს ლიცენზიის გამცემს მისი განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. დოკუმენტაცია მოიცავს ფოტომასალას ჭაბურღილის, ჭის ან/და წყაროს X და Y კოორდინატების მითითებით, ფოტოზე ასევე დატანილი უნდა იყოს მოქმედების განხორციელების თარიღი;</p> <p>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმართულობის მოწესრიგება. ჭაბურღილი მდებარეობს გადახურულ სივრცეში, რომელიც უნდა შენარჩუნდეს ობიექტის ექსპლუატაციის პერიოდში.</p> <p>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზოდბეს ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 100 000 მ ³ /წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზოდბეს ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	3 232 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%)	323.2 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	1816 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 5 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 3 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 3 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 3 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის	25 წელი

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	სსიპ წიადის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი 202482571
2	მისამართი/ტელეფონი ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე სასარგებლო წიადისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის <p>ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;</p> <p>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს;</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განხორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;</p> <p>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;</p> <p>ე) ლუქის ახსნა-დადება და შესაბამისი აქტის შედგენა რეგულირების საფასურის გადახდელთა სალიცენზიო ობიექტებზე ხორციელდება - ლიცენზიის გამცემი ორგანოს სამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, ყველა სხვა შემთხვევაში კი - ლიცენზიის მფლობელის მიერ, მისი ჩაბარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.</p> <p>ვ) ლიცენზიანტი, რომელსაც არ ეხება რეგულირების საფასურის გადახდა, ვალდებულია, ლუქის ახსნის/დადების პროცესის ამსახვილი დოკუმენტაცია წარუდგინოს ლიცენზიის გამცემს მისი განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. დოკუმენტაცია მოიცავს ფოტომასალას ჭაბურღილის, ჭის ან/და წყაროს X და Y კოორდინატების მითითებით, ფოტოზე ასევე დატანილი უნდა იყოს მოქმედების განხორციელების თარიღი;</p> <p>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმართულობის მოწესრიგება, შემოღობვა და 1 მეტრის რადიუსზე დაბეტონება.</p> <p>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიადისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიადისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი ქ. ქუთაისი, ლესელიძის ქ. N2 მიმდებარე ტერიტორია (ნაკვეთი N1), (ყოფ.N28, N22), მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამწარმო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიადისეულის მოცულობა - 5 500 მ ³ /წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა ქ. ქუთაისი, ლესელიძის ქ. N2 მიმდებარე ტერიტორია (ნაკვეთი N1), (ყოფ.N28,N22)
8	აუქციონის საწყისი ფასი 138 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) 13.8 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი 269 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 5 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 3 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 3 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 3 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა 10 წელი
14	სხვა მონაცემები აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

სსოვნა

ასეთი აღაშიანები უკვალოდ არ ქრებიან



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მალაი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტი (თსუ მეფი) ღრმა მწუხარებით გამოემშვიდობა თვალსაჩინო პიროვნებასა და მეცნიერს, პროფესორ იურნი თამაზაძეს. მან დიდი ამაგი დასდო საქართველოში ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის განვითარებას. განუზომელია მისი ღვაწლი სტრუქტურებისა და ახალგაზრდა მეცნიერების აღზრდაში. იგი დიდი სიყვარულითა და რუდუნებით იღვწოდა სიცოცხლის ბოლომდე ქართველ ფიზიკოსთა სკოლის გაძლიერებისა და პოპულარიზაციისთვის...

რომელსაც მიენიჭა პროფესორ იური თევზაძის სახელი. იური თევზაძე საოცარი გულმოდგინებითა და დაუღალავი შრომით ასწავლებდა, ერთდროულად ყოფილიყო სათანადო სამეცნიერო კვლევებისა და სასწავლო პროცესების სამაგალითო მონაწილე-შემსრულებელი. ის არის 80-მდე შრომის თანაავტორი, რომელთაგან 50 გამოქვეყნებულია მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში. აღსანიშნავია, ასევე მისი საქმიანობა საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობაში: ქ. დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის ორმეტრიანი პროპანის ბუშტოვანი კამერის ექსპერიმენტში (1970-1995), ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის დიდი ადრონული კოლაიდერის ექსპერიმენტ ALICE-ში (1995-2003) და იაპონიის პროტონული ამაჩქარებლის კვლევითი ცენტრის ექსპერიმენტ COMET-ში (2012-დან სიცოცხლის ბოლომდე). 1977 წელს იური თევზაძეს მიანიჭეს პ. მელიქიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია ნაშრომთა ციკლისთვის „უცნაური ნაწილაკების დაბადების შესწავლა 40 გევიანი π - მეზონების ურთიერთქმედებით ნივთიერებასთან“, ხოლო 2003 წელს გახდა ღირსების ორდენის კავალერი. 2015 წელს იგი დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლით.

იური თევზაძეთა გვარშიც გამორჩეული ოჯახის წარმომადგენელია, და-ძმებმა - გურამმა, იურიმ და იამ მშობლებისგან ბავშვობიდანვე შეისისხლსორცეს შრომისა და ცოდნის სიყვარული, მაღალი მოქალაქეობრივი ღირებულებები, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე... ი. თევზაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის (1959-1964) დამთავრებისთანავე ჩაება სამეცნიერო საქმიანობაში ბირთვული ფიზიკის კათედრაზე ჯერ უფროსი ლაბორანტისა და ასისტენტის, შემდეგ უფროსი ინჟინრისა და უფროსი მასწავლებლის თანამდებობებზე. რამდენადაც ბირთვული ფიზიკის განვითარება მოითხოვს მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან მჭიდრო კავშირს, საქართველოში მეცნიერების ამ დარგის კორიფეგებმა ე. ანდრონიკაშვილმა, გ. ჩიქოვანმა, ა. თავხელიძემ, ნ. ამალაბელომ, რ. სალუქვაძემ, თ. კობალეიშვილმა და შემდეგში მათმა მოწაფეებმა განავითარეს სამეცნიერო თანამშრომლობა დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტთან (JENR, დუბნა), ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციასთან (CERN, ჟენევა), იულისის კვლევით ცენტრთან (იულიხი, გერმანია) და ა.შ. სწორედ ამ თანამშრომლობის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ბატონი იურის საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც მან წარმატებით დაიცვა 1974 წელს დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში ექსპერიმენტული ფიზიკის სპეციალობით. წინა საუკუნის 70-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის პრობლემური ლაბორატორია, რაც შემდგომ გადაკეთდა მალაი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტად. თავხელიძის, ნ. ამალაბელოვის, რ. სალუქვაძის, თ. კობალეიშვილისა და მათი კოლეგების დიდი ძალისხმევით. 1979-1995 წლებში ბატონი იური არჩეულ იქნა ფიზიკის ფაკულტეტზე მაღალი ენერჯიების ფიზიკის კათედრის დოცენტად. 1994 წელს ი. თევზაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ფიზ. მათ. მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ატომბირთვისა და ელემენტარული ნაწილაკების სპეციალობით. 1996-2005 წლებში დაინიშნა მაღალი ენერჯიების ფიზიკის კათედრის გამგედ. 2006-2007 წლებში არჩეულ იქნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორად. 2007 წლიდან ის სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა აღნიშნული ფაკულტეტის ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიას,

შორისო სამეცნიერო თანამშრომლობაში: ქ. დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის ორმეტრიანი პროპანის ბუშტოვანი კამერის ექსპერიმენტში (1970-1995), ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის დიდი ადრონული კოლაიდერის ექსპერიმენტ ALICE-ში (1995-2003) და იაპონიის პროტონული ამაჩქარებლის კვლევითი ცენტრის ექსპერიმენტ COMET-ში (2012-დან სიცოცხლის ბოლომდე). 1977 წელს იური თევზაძეს მიანიჭეს პ. მელიქიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია ნაშრომთა ციკლისთვის „უცნაური ნაწილაკების დაბადების შესწავლა 40 გევიანი π - მეზონების ურთიერთქმედებით ნივთიერებასთან“, ხოლო 2003 წელს გახდა ღირსების ორდენის კავალერი. 2015 წელს იგი დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლით.

აღნიშნულ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სიყვარულითა და სითბოთი გამორჩეული ოჯახი, მეუღლე ქალბატონი ლალი ასობაძე, ქალიშვილები და შვილიშვილები. ბაბუის როლი, როგორც თვითონ ამბობდა, ერთ-ერთი განსაკუთრებული და საპატიო ყოფილაო. თუმცა, მისთვის ყველა დაკისრებული მოვალეობა უმადლეს ხარისხში იყო აყვანილი; არასოდეს გამორჩენია რაიმე მნიშვნელოვანი თარიღი თუ დაბადების დღე მის დიდსა და უძვირფასეს ადამიანთა გარემოცვაში, ვერავინ დაასწრებდა გაჭირვებული თუ ავადმყოფი ადამიანის მონახულებასა და დახმარებას, ყველასთვის ყოველთვის ჰქონდა რაღაც „გადახსნაული“, ყველა კონფერენციიდან თუ მივლინებიდან დაბრუნებულს ინსტიტუტის ყველა თანამშრომლისთვის უნდოდა სიმბოლურად რაიმეიტი დაემახსოვრებინა თავისი შთაბეჭდილებები.

მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, არ შეუწყვეტია თავისი პროფესიული საქმიანობა, ბოლომდე ცდილობდა, ეწეებინა თავის გვერდით მყოფნი. გარდაცვალების ამბავმა კი ერთიანად შექრა ყველა, ვინც მას იცნობდა და რაოდენ სამწუხაროა, რომ იური თევზაძეზე წარსულ დროში გვიწევს საუბარი. მას უფლისგან მიმადლებული ჰქონდა უდიდესი სასიცოცხლო ენერჯია, რომელსაც საოცრად უხამებდა დიდი იუმორის გრძნობას და ქმნიდა გადამდებ ხალისიან განწყობას გარშემომყოფთა შორის. ერთგული და სანდო მეგობრის, თვალსაჩინო მასწავლებლისა და მეცნიერის, გამორჩეული კოლეგის, უძვირფასესი ოჯახის მამის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების გულში. ასეთი დიდი ადამიანები უკვალოდ არ ქრებიან, ისინი უზრალოდ დროებით ჩვენს თვალს მიეფარებიან და სამუდამო სამყოფელშიც, ალბათ, აქ დარჩენილთა სიკეთისათვის იღვნიან. დიდი მადლობა ძვირფასო იური ყველა კეთილი „გაკვეთილისთვის“, ძალიან გვიყვარხარ!

თსუ მაღალი ენერჯიის ფიზიკის ინსტიტუტის კოლეგები

ღამვნილობა

ბაპორჩეულად იღვანა ქვეყნისთვის
აკადემიკოს ლევან ალექსიძის ხსოვნას

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მწუხარებით იუწყება, რომ 93 წლის ასაკში გარდაიცვალა აკადემიკოსი ლევან ალექსიძე.

ლევან ალექსიძის ძე ალექსიძე დაიბადა 1926 წლის 5 ივლისს ქ. თბილისში. ის იყო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს რესპუბლიკის პირველი მონვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-1991წ.წ.), საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი (1996წ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2001წ.), 2010 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1986), ღირსების ორდენისა (1996) და ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენის (2010) კავალერი.



გ. ში. ლ. ალექსიძე 150-მდე შრომის ავტორია, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ესპანურ ენებზე.

აკადემიკოს ლევან ალექსიძის დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ისტორიის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტების შესწავლაში. მან მონაგრავი უფლებად გამოიკვლია ძველი ქართული სამართლის ინსტიტუტები, რომლებიც საქართველოს საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკის უაღრესად ჰუმანურ და პროგრესულ ხასიათს გვიჩვენებენ.

აკადემიკოსმა ლევან ალექსიძემ ერთ-ერთმა პირველმა მოჰკიდა ხელი საერთაშორისო სამართლის ურთულესი პრობლემის - იმპერიატორული ნორმების ბუნებისა და შინაარსის გამოკვლევას. ამ პრობლემისადმი მიძღვნილ მის მონოგრაფიას (1982წ.) და ჰააგაში წაკითხული ლექციების პუბლიკაციას (1981წ.) დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა და სპეციალისტთა დიდ ინტერესს იწვევს. ამ ნაშრომებმა მას საერთაშორისო აღიარება მოუტანა სწავლულ იურისტთა საზოგადოებაში.

საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის პროცესის დაწყებისთანავე აკად. ლევან ალექსიძე თავის ცოდნასა და გამოცდილებას იყენებს, რათა მეცნიერულად დაასაბუთოს საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გასვლის უფლება. მონაწილეობს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის (1991წ. 9 აპრილი) მომზადებაში. მისი წინადადებით, საერთაშორისო სამართლის პრინციპული საქართველოს კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად, რომელმაც შემდგომში ასახვა ჰპოვა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში.

აკადემიკოს ლევან ალექსიძე წლების მანძილზე მონაწილეობდა საქართველოს რეგიონებში - აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების მოწესრიგების საერთაშორისო-სამართლებრივი საფუძვლების ძიებასა და დაწესებაში. მისი გამოკვლევები საქართველოს ამ რეგიონებში მიმდინარე პროცესების შესახებ სისტემატურად მიენოებოდა გაეროს უშიშროების საბჭოს. სწორედ მის საფუძველზე, გაერომ და ეუთომ დაგმეს აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა.

აკადემიკოს ლევან ალექსიძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია ნაშრომებს, რომლებშიც გაბათილებულია აფხაზი და ოსი სეპარატისტების, აგრეთვე მათი მოსკოველი მხარდამჭერების მოსაზრებები სეპარატისტთა თვითგამორკვევის უფლებებისა და საქართველოს შემადგენლობიდან მათი გამოყოფის მართლზომიერების შესახებ. აკად. ლევან ალექსიძის კონცეფცია აფხაზეთის სტატუსის შესახებ აისახა გაეროს რეზოლუციებში, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად მოითხოვენ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრას საქართველოს „საერთაშორისოდ აღიარებულ სახელმწიფო საზღვრებში“.

აკადემიკოსმა ლევან ალექსიძემ დიდი წვლილი შეიტანა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის აღმნიშვნელი ტერმინების დანერგვაში გაეროს, ეუთოს, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ნატოსა და სხვა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო-სამართლებრივ და პოლიტიკურ აქტებში.

აკადემიკოსმა ლევან ალექსიძემ ფუნდამენტურად გამოიკვლია 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების შემოჭრისა და მისი შედეგების საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტები. თანამედროვე საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით რუსეთის ქმედება შეფასებულია, როგორც აგრესია, ინტერვენცია და ოკუპაცია საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ლიკვიდაციის მიზნით.

აკადემიკოს ლევან ალექსიძე ავტორია თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პირველი ქართული სახელმძღვანელოსი, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა და რომელიც უდავოდ ქართველ იურისტთა მრავალი თაობა აღიზარდა. აქვე უნდა აღინიშნოს აკად. ლევან ალექსიძის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის დაუღალავი პედაგოგიური საქმიანობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აგრეთვე მისი მეცადინეობით საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დაარსება, რომლის თანამშრომლებიც მრავალი წელია, ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწევიან საერთაშორისო სამართლის დარგში. სწორედ აკად. ლევან ალექსიძის თაოსნობით შექმნილი საერთაშორისო სამართლის ქართული სკოლის დამსახურებაა, რომ დღეს საერთაშორისო სამართლის ქართველ სპეციალისტთა არაერთი თაობა წარმატებით მოღვაწეობს სახელმწიფო სტრუქტურებში, საერთაშორისო ორგანიზაციებშია თუ დიპლომატიურ ასპარეზზე.

გამორჩეულია აკადემიკოს ლევან ალექსიძის ღვაწლი თანამედროვე მეცნიერებაში, ასევე მნიშვნელოვანია ის წვლილი, რომელიც მიუძღვის მას საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, მომავალი თაობების აღზრდასა და განათლებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს აკად. ლევან ალექსიძის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

სამართლებრივ მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

ლევან ალექსიძე

და თანაგრძობას უტყავდნენ განსვენებულის ოჯახს.
პანაშვიდი: 1,2 VIII, 17 სთ. გამოსვენება: 3 VIII, 15 სთ.
პანაშვიდი და გამოსვენება ჩატარდება სიონის ტაძარში.

სულიერება

მოსიქულთა სწორი მარია მადალინელი



4 აპრილს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მარიამ მადალინელს იხსენიებს.

...წმინდა მენელსაცხებლე მარიამ მადალინელი, წმინდა მისის ჩრდილოეთ ნაწილში, გენესარეთის ტბის ნაპირას მდებარე ქალაქ მადალაში დაიბადა. ეს წარმტაცი მხარე სავსეა ხილით და თევზით. მისი მცხოვრებნი, სხვა პალესტინელთაგან უშუალოდ, ზნეჩვეულებათა სიფიცხით და თავდადებულობით გამოირჩეოდნენ. ეს თვისებები მარიამ მადალინელისთვისაც იყო დამახასიათებელი.

აღსანიშნავია ის, რომ ღვთის წყალობით მარიამ მადალინელი უფალ იესო ქრისტეს შეხვდა. უფალმა იგი შეინყა და მისგან შეიძინა ეშმაკი განდევნა, რითიც ის სულიერად და სორციელად განკურნა. ამის შემდეგ მადალინემა მარიამმა ყველაფერი მიატოვა, ქრისტეს მოწაფედ იქცა და სხვა კეთილმსახურ ქალებთან ერთად მას ემსახურებოდა.

როცა მაცხოვარი პილატესთან სამსჯავროზე მიიყვანეს და შეშინებული და რწმენაშერყეული მისი მოწაფეები აქეთიქით გაიქცნენ, მან უფალი არა თუ მიატოვა, არამედ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელთან და უფლის საყვარელ მონაფე იოანესთან ერთად მის ჯვართან იდგა.

იმავ დღეს მარიამი ღირს იქნა კვლავ ეხილა აღმდგარი მაცხოვარი, როცა ის სხვა მენელსაცხებლე დედებთან ერთად მესამედ მივიდა საფლავთან. უფლის ამ გამოცხადებებზე მადალინელმა მოციქულებს მოუთხრო, მაგრამ არ დაუჯერეს.

ისიც საუფლისხმოა, რომ რომის შემდეგ მარიამ მადალინელი ეფესოში გამგზავრდა და იქ მოციქულ იოანე ღვთისმეტყველს ქადაგებაში ეხმარებოდა...

გიული ლიპარტი

„ავს თუ ავი არ ვუნდო...“

მირზა გელოვანის ამოძახილი

ავსუს, ჩემო „უტკბილესო, საყვარელო ქართლის მიწავ“. მტრებისაგან დაგიცავი, „მოყვრებისგან“ ველარ გიცავ.

ვიდრე პარადს მოგვიწყობენ

ნეტა, ვისი წყალობაა, რომ დაგვევსო თვალები, რომ მომრავლდნენ ზნედაცლილი კაცები და ქალები? ახლა მაინც გაახილეთ დასავსები თვალები, ვიდრე პარადს მოგვიწყობენ ჰომოსექსუალები!

„გარდოსნებს“

ვარდები და ტაშ-ფანდური კარგია, თუ ქვეყანას რაიმეში არგია, დღეს კი რა გვაქვს ზარ-ზეიმის თანხლებით, ძველი კლანის ჩანაცვლება ახლებით? ბაქიბუქით გულისყური ნუხდება, დაპირებებს შესრულება უხდება!

* * * ისე მტრობენ თანდათან, „ქოცები“ და „ნაცები“, ვერ გაიგებ ხანდახან ვინ უფროა საცემი.

* * * ამბობენ, რომ გუბაზი გახდა მეტად ბუტია, მიტომ სინდის-ნამუსსაც უტია და უტია!

ირაკლი თქრუაშვილზე

კი, მართალია, რომ ირაკლია, მაგრამ მეფობას „ცოტა“ აკლია. ცხინვალის გზასაც ვერ მიაკვლია, რა ირაკლია?! რა ირაკლია?!

ღმერთმა დასწყევლოს!

ვინც გაასხვისა ჩვენი მთა-ველი, გაამათხოვრა კაცი ქართველი, ვინც გაგვიმრუდა გზა გასავლელი, ღმერთმა დასწყევლოს მისი სახელი!

ათი წლის მერე?

ათი წლის მერე, ვინ იცის, საქმე იმდენად წახდება, ქართველი კაცი თბილისში სანთლით საძებნი გახდება!

ბევრი მდიდარი ყაჩაღი...

ბევრი ყაჩაღი თუა მდიდარი, სიკეთეც ბევრი იქნება? არავითარი, არავითარი, რაცა გვაქვს, ისიც გვიქრება!


„მაღალ პირთა“ საგადასახადო უწყობა

რასაც კადრულობს ავკაცთა კასტა, ყველა წესებს და ზნეობას გასცდა!

„ერთი — ცხვრისკენ, მეორე — მგლისკენ“

ძართული ანდაზა

რუსიც და თურქიც ოდიტგან ოკუპანტია, ცხადია. ჩვენთვის ორივე ერთია, „მუ იყოს, თუნდა სვადია“.



ბურამ ჭავჭავანიძე

ქართველი კინორეჟისორი კლინის ეპროკური ფილმების ფესტივალზე დააჯილდოვეს



მიზო ანთაძის დოკუმენტური ფილმი „მოსავალი“ პალინის ევროპული ფილმების ფესტივალზე კრიტიკოსთა ჟიურის პრიზით დაჯილდოვდა. ფილმი წარმოდგენილი იყო სექციაში „პარალელები და შეხვედრები“ (Parallels and Encounters).

ჟიურის წევრთა შეფასებით, ეს არის გამორჩეულად დახვეწილი ნამუშევარი დებიუტანტი ავტორისგან.

„მოსავალი“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია, რომლის მსოფლიო პრემი-

ერა როტერდამის კინოფესტივალზე შედგა.

„მოსავალი“ ქართულ-ამერიკული კოპროდუქციაა. ფილმის პროდიუსერია ნათია გულიაშვილი. მოვლენები კახეთში ვითარდება. ამ აგრეკულტურულად მდიდარი მიწის მცხოვრებლები ახლა ვირტუალური მოსავალის მოპოვების ციებ-ცხელებით არიან შეპყრობილი. „მოსავალი“ ჩუმი დაკვირვებაა ადამიანის, ლანდშაფტისა და ტექნოლოგიის ურთიერთკავშირზე კრიპტოვალუტის ეპოქაში.

ფესტივალის „თბილისის სის ქვე“ დასკვნითი ღონისძიება

თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ორგანიზებით, ავჭალაში ფესტივალის „თბილისის სის ქვე“ დასკვნითი ღონისძიება ჩატარდა.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა საბავშვო-გასართობი აქტივობა, აგრეთვე, ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მრავალფეროვანი საბავშვო პროგრამის ფარგლებში პატარებისთვის ჩატარდა სხვადასხვა თამაში, შეჯიბრი და შოუ პროგრამა. ბავშვების განწყობაზე ზრუნავდნენ ანიმატორები, ზღაპრის გმირები. მსურველები საბავშვო კინორჩვენებს დაესწრნენ. საღამო სალიოს კონცერტმა და დიჯეიმ დაასრულეს.



მოგაერთავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

ბ. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5 ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიაშვილი 599 53-76-16;

ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე 514 33-33-24

გამომცემელი: შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ 599 53-76-16; 599 36-00-35 შპს „თანამდგომარეობა“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „ქოლორ პრესში“ რკინიგზის ჩიხი №20 uac(უაკ)070.4(479.22) ს-323



ავტორთა საზურაღდეოდ!

რედაქციის მიერ შუამთავრობის მასალები დანიშნულია ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაქობა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აბეზან ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ უენი გაზეთია, აუსილეზლად გამოიწერა, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!



უხსოვრი პალატის კარსი: აუზ ღოღარი - 2.9296; პირი - 3.2328; ბრიტანული მიკროსტრუქტურის სტრუქტურა - 3.5463; 100 რუბლი - 4.5907; თურქული ლირა - 0.5252; ანარბაიკის მანათი - 1.7284; 1000 სომხური დრამი - 6.1585.

Table with exchange rates for various currencies: ლარი, დოლარი, ევრო, აშშ დოლარი, ავსტრალიული დოლარი, ახალი ზელანდიური დოლარი, აზერბაიჯანული მანათი, ბრაზილიური რეალის, რუსული რუბლი, უკრაინული ჰრივნი, თურქული ლირა, აზერბაიჯანული მანათი, ახალი ზელანდიური დოლარი, აშშ დოლარი, ევრო, ავსტრალიული დოლარი.

დაავიკავით, მოგწერეთ: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 ულ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge